# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ხუთშაბათი, 2 თებერვალი. 2017 წ. №24-25 (8161-8162), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## როგორ „დაიმონა“ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ინტელიგენცია?!

### მეგობრული შემოლაშქრება ქართველ ელიტას ⑤



## ნუთუ ეს მართალია?!

### ლია მუხაშავრია: ხელისუფლება ადამიანებით ვაჭრობის თემებზე რუსეთთან წარმატებულად თანამშრომლობს“



ადვოკატი ლია მუხაშავრია საქართველოს ხელისუფლებას „ადამიანებით ვაჭრობაში“ ადანაშაულებს. საქმე ეხება ქართველი სამხედროების საქმეს, რომლებზეც რუსეთის ფედერაციას ძებნა აქვს გამოცხადებული. როგორც გაზეთ „ქართულ სიტყვასთან“ ინტერვიუში მუხაშავრიამ განაცხადა, **ქართული მხარე ჩუმად აკავებს იმ პირებს, ვისზეც რუსეთს ძებნა აქვს გამოცხადებული, შემდეგ გადასცემს რუსულ მხარეს და იღებს ფულს: „რუს სამართალდამცავებს რეაგირება ერთადერთ საქმეზე ჰქონდათ — ეს მშვიდობიანი მოქალაქის გაუპატიურების ფაქტი იყო, რამდენიმე პირის წინააღმდეგ საქმე აღიძრა, მაგრამ მათი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლა. ამიტომაც არ გამიკვირდება, რომ 2008 წლის ომის მონაწილე ქართველ სამხედროებზე სისხლის სამართლის საქმის დევნა მიმდინარეობდეს. სამართლებრივად, გია ცერცვაძის საქმეს 2008 წლის ომს არ დავუკავშირებ, უფრო უკრაინაში მიმდინარე პროცესების ნაწილად მივიჩნევ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ადამიანებით ვაჭრობის თემებზე რუსეთის ხელისუფლებასთან წარმატებულად თანამშრომლობს. თუ ვინმეზე რუსეთის პროკურატურას ინტერესი აქვს, ჩვენები აკავებენ, ჩუმად, არაოფიციალურად გადასცემენ და ამაში ფულს იღებენ,** — განაცხადა ლია მუხაშავრიამ „ქართულ სიტყვასთან“ ინტერვიუში.

### შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი



ადვოკატ ლია მუხაშავრიას სკანდალურ განცხადებაზე კომენტარი გააკეთეს საქართველოს შსს-ში. მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი აცხადებს, რომ რუსეთთან არანაირი თანამშრომლობა ხელისუფლებას არა აქვს:

**„არ ვიცი, ქალბატონი ლია მიხაშავრია რა წყაროებზე დაყრდნობით აკეთებს განცხადებას, მაგრამ შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით დაგიდასტუროთ, რომ არანაირი ინფორმაციის გადაცემა, არანაირი თანამშრომლობა, მითუმეტეს პირდაპირი, არ ხორციელდება და არც ინტერპოლით ჯარისკაცებთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაციის გადაცემა არ ხორციელდება“,** — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

## რას ატრამპებს ტრამპი?!



⑧

მაგრამ ტრამპი ბიზნესმენია. ეს არავის დაავიწყდეს: მან უმალ შეახსენა მექსიკელებს, რომ სავაჭრო დეფიციტი ამერიკასა და მექსიკას შორის 60 მილიარდი დოლარია — მექსიკის სასარგებლოდ. მაშასადამე, საკმარისია ამერიკამ თუნდაც 1 წლით დააწესოს საბაჟო გადასახადი მექსიკურ საქონელზე და საჭირო თანხა იოლად მოგროვდება.

## ვინ ვისი მსახურია?

### უკონტროლობა რყვნის, აბსოლუტური უკონტროლობა აბსოლუტურად რყვნის! ④

## საქართველო ევროპის ერთადერთი ქვეყანაა სავალდებულო დაზღვევის გარეშე!.. ⑩

## ეროვნული გმირის ცხოვრების მატიანე ⑦



## ლუკა პაიჭაძე საქართველოს ჩემპიონია ⑨



ეს პროექტი ხალხისთვის გაკეთდა!




# სესხების გალარების პროგრამის ტემპი ერთობ სავალალოა!

**სესხების გალარების პროგრამა მძიმედ დაიწყო. ბანკებმა 2 კვირაში მხოლოდ 400 კრედიტი გადაიყვანეს ეროვნულ ვალუტაში. კრედიტებით დამძიმებული ხალხი უჩვეულოდ პასიურობს, რაც პროგრამის არაეფექტურობაზე მიუთითებს. ეროვნულმა ბანკმა კომერციულ სტრუქტურებთან ერთად, სპეციალური შეხვედრაც გამართა ხარვეზების აღმოსაფხვრელად.**

სებ-ის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის ინფორმაციით კომერციულ ბანკებთან შეხვედრა გაიმართა იმისთვის, რომ განხილულიყო ის შედეგები და საკითხები, რაც დაგროვდა ორი კვირის განმავლობაში, ანუ გალარების ერთჯერადი პროგრამის დაწყებიდან დღემდე.

**„მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ადრეა საუბარი იმაზე, თუ რა შედეგი იქნება, ზუსტად ამ ადრეულ ეტაპზე, ჯობს იმ საკითხების განხილვა, რაც დაგროვდა. მაგალითად, ფილიალებში სესხის ისტორიის მიუხედავად, მსესხებელს შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი შესთავაზეს, ამავე დროს იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც კლიენტი კვალიფიცირდებოდა მსესხებლად, რომ შეძლებოდა გალარების პროგრამაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ბანკში მას უარი უთხრეს. ეს ტექნიკური საკითხები ნამდვილად მოსალოდნელი იყო და სწორედ ამიტომ გაიმართა შეხვედრა“,** — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

კომერციული ბანკების ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ გალარების პროგრამა ჯერჯერობით ცუდად მუშაობს. „ვითიბი ბანკის“ პრეზიდენტის არჩილ კონცელიძის თქმით, ბანკებში არის პრობლემა, რადგანაც მსურველთა ნაკადი არ არის ისეთი, როგორსაც ელოდნენ.

**„ზუსტად ამაზე იყო შეხვედრა, როგორ უნდა დავაჩქაროთ ეს პროცესი. მათ შორის ვისაუბრეთ თანამშრომლებისთვის მოტივაციის გაზრდაზე, უფრო აქტიურ მარკეტინგულ კამპანიაზე და ა.შ.“,** — განაცხადა არჩილ კონცელიძემ.

„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე ამბობს, რომ ბანკში დღესდღეობით 5 მილიონ ლარამდე არის გალარებული.

**„მოგეხსენებათ, იანვარი არ იყო აქტიური თვე და მოლოდინი გვაქვს, რომ თებერვალში გაცილებით მეტი რაოდენობის სესხებს გავალარებთ“,** — აღნიშნა ბუცხრიკიძემ.

„ლიბერთი ბანკის“ დირექტორი არმენ მატევოსიანი კი, სეზონურ ფაქტორს გამორიცხავს. მისი აზრით, პროგრამის შესახებ მეტი საინფორმაციო აქტივობაა საჭირო, რასაც აპირებენ კიდეც.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი გიორგი ჭილაძეც აცხადებს, რომ გალარების პროგრამა შედარებით უფრო დაბალი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე მოლოდინი იყო.

**„მიგვაჩნია, რომ მომხმარებლისთვის, რომელსაც შემოსავალი აქვს ლარში და სესხი უცხოურ ვალუტაში, რისკის დასაზღვევად ნამდვილად საუკეთესო შეთავაზებაა სესხის გალარება, მით უმეტეს, შეღავათიანი კურსით. ამიტომ გვგონია, რომ მოთხოვნა არის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ რადგან ორთვიანი ფანჯარაა, შეიძლება მომხმარებელმა ბოლო მომენტამდე დაიცადოს და მერე მიიღოს მონაწილეობა“,** — განაცხადა გიორგი ჭილაძემ.

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე საინფორმაციო კამპანიის გააქტიურებას და იმას, რომ მოსახლეობას მიეწოდოს მეტი ინფორმაცია. პარასკევის მონაცემებით, „საქართველოს ბანკში“ 210 სესხამდეა გალარებული, ჯამური ღირებულებით 7 მილიონ ლარამდე.

ბანკების ასოციაციის პრეზიდენტის ზურაბ გვასალიას ინფორმაციით, ამჟამად 400 სესხია გალარებული. **„დარწმუნებული ვარ, მალე ეს სტატისტიკა ბევრად უფრო მაღალი იქნება, ვინაიდან ჯერ არის მოლოდინის, ფიქრის, გადაწყვეტილების მიღების პროცესი. დღეს იყო შეხვედრა, სადაც დაისვა საკითხები ეროვნულ ბანკთან, თუ რა პრობლემები დგას საბანკო სექტორთან და რამდენად შეუძლია ეროვნულ ბანკს ამაში ოპერატიული დახმარება გაუწიოს. იყო ასევე საუბარი იმაზე, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაცია ბევრად უფრო ხშირი უნდა იყოს, რათა ყველა ტექნიკური დეტალის ახსნა მოხდეს, რომ მოსახლეობას ხელი შევუწყოთ, ოპერატიულად და სწორად მიიღონ გადაწყვეტილება ამ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ“,**— განაცხადა გვასალიამ.

ფინანსისტები პირდაპირ მიუთითებენ პროგრამის ხარვეზებზე. კომპანია „პირადი ბანკირის“ ხელმძღვანელის ირაკლი ბერძენაძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც გალარების პროგრამა დაიწყო და მოსახლეობამ მიმართა ბანკებს, მსესხებლები მიხვდნენ, რომ ამით მათ გაუძვირდებათ სასესხო ვალდებულება.

**„კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ არ არის ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთი. გარდა ამისა, ყველამ იცის, რომ თუ ლარის კურსი დასტაბილურდა, მაშინ გალარებული მსესხებელი წაგებული დარჩება. ასეთ შემთხვევაში, ვინ აუნაზღაურებს კლიენტს გალარებისგან მიღებულ ზარალს? — არავინ. ამიტომ ხალხი დაბნეულია. სესხები კი იმათ გაალარეს, ვისაც სხვა გზა არ ჰქონდა ან კრედიტის დასაფარად ცოტა დრო აქვს დარჩენილი“,** — აღნიშნა ბერძენაძემ.

**ბექა დანელია**



# პარტნიორობა ევროკავშირთან გრძელდება

**ევროკავშირთან მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები და საფინანსო მხარდაჭერის პროგრამები განიხილა დღეს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის გენერალურ დირექტორ კრისტიან დენიელსონთან შეხვედრაზე.**

შეხვედრას ასევე დაესწრნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის, ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში მმართველი დირექტორი თომას მეიერ ჰარტინგი, აგრეთვე ფინანსთა და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები ნიკოლოზ გაგუა და გენადი არველაძე.

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობაზე ევროპული სამეზობლო პოლიტიკის, კერძოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. პირველმა ვიცე-პრემიერმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე და იმ რეფორმებზე, რომლებიც ხორციელდება მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის განხორციელების მიმართულებით.

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დეტალურად განიხილა საქართველოს ფისკალური და მაკროეკონომიკური მდგომარეობა, აგრეთვე მიმდინარე და სამომავლო რეფორმები. მან იმედი გამოთქვა, რომ სამომავლო პარტნიორობა ევროკავშირთან მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება.

აღინიშნა ის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რომელსაც ევროკავშირი უწევს საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მხარდაჭერაზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) აღებული ვალდებულებების განხორციელების კუთხით. დადებითად შეფასდა ის ტენდენციები, რომლებიც არსებობს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობიდან გამომდინარე, კერძოდ, ორმხრივი ვაჭრობა გაიზარდა 14 პროცენტით, საქართველოდან ევროკავშირში აგროპროდუქციის ექსპორტი კი — 6 პროცენტით. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს მიმდინარე და სამომავლო მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა დიდი ნაწილიც ევროპული საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით ხორციელდება.

კერძოდ, ქართულმა მხარემ ევროპელ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია ჩქაროსნულ მაგისტრალზე მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურისა და საქართველოს რეგიონების დამაკავშირებელი მაგისტრალების პროექტებზე, ასევე ცალკეული რეგიონების განვითარების საპილოტე პროექტებზე, რომლებიც ხორციელდება ევროპული საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის მთავარი ფუნქციაა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხების კოორდინაცია. გენერალური დირექტორატი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ახორციელებს ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარების კოორდინაციას.

# გია გვაზავა სოზარ სუბარს გონიერებისკენ მოუწოდებს

ეს არის დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების პოლიტიკური საფუძვლების ნიველირება — ასე აფასებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა დევნილებისთვის შემწეობის შესაძლო მოხსნას. გვაზავა იმ პროექტზე საუბრობს, რომელიც დევნილთა სამინისტროში შემუშავდა. პროექტს გვაზავა საქართველოსთვის ზიანის მომტანს უწოდებს:

**„ძალიან ცუდია, რომ სამინისტრო ამ პროექტში პოლიტიკურ კონტექსტს ვერ ან არ ხედავს. აფხაზეთი თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა, ამიტომაც უფრო მეტი გონიერება გვმართებს. ჩემთვის ამ პროექტის ყველა მუხლი მიუღებელია. თუნდაც ის ფაქტი, რომ ოფიციალურად ეს პროექტი ჩვენთან არც მოსულა, ჩვენ თვითონ მოვიპოვეთ...პროექტის ავტორებს რომ უფრო ღიად ემუშავათ ამ პრობლემებზე, ასე საჯილდაო არ გახდებოდა.**



**ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია ის სტატისტიკური ანალიზი, რომლის საფუძველზეც დათვლილია, თუ რამდენი ადამიანი გამოაკლდება (ბუნებრივი სიკვდილით) ყოველწლიურად სახელმწიფო შემწეობის მიმღებთა რიცხვს, რამდენი „მეორე თაობის“ დევნილით არ გაიზრდება სახელმწიფო შემწეობის მიმღებთა რიცხვი და რა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვება ამ პროცესებს.**

**ეს არ არის მხოლოდ ფისკალური საკითხი. ეს პოლიტიკური დივერსიაა, რომელშიც შორსმიმავალი გეგმებია ჩამალული - უახლოეს მომავალში დასათვლელი დარჩება „ნამდვილი“ დევნილი, ანუ ის ხალხი, რომელსაც კანონიერი საფუძველი და პრეტენზია ექნება საკუთარ სახლებში დაბრუნებისა, რის უფლებასაც მოკლებული იქნებიან მათი შვილები და შვილიშვილები. ეს არის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი დევნილებისთვის პოლიტიკური სტატუსის მოსახსნელად. ანუ, ფაქტობრივად, არის დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების პოლიტიკური საფუძვლების ნიველირება! ეს არანაირად არ არის საქართველოს ინტერესებში, არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, მიჩნდება კითხვა —ვის სჭირდება ეს“** — აცხადებს გია გვაზავა.

# საქართველო ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების სიაშია

**Freedom house-ის შეფასებით საქართველო ისევ ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების სიაშია. როგორც პოლიტიკური, ასევე სამოქალაქო თავისუფლების კუთხით, საქართველოს 3 ქულა აქვს მინიჭებული.**

**ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად საქართველოში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით დემოკრატიის თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობაა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დემოკრატიის ხარისხი ოდნავ გაუმჯობესდა. დოკუმენტის მიხედვით დემოკრატიის თვალსაზრისით რთული მდგომარეობაა რუსეთში, თურქეთსა და სირიაში.**



# ისტორიამ უკვე უთხრა თავისი სათქმელი სოროსსა და მისნაირებს

**ჯორჯ სოროსი განგაშის ზარებს არისხებს. 86 წლის უნგრელი ებრაელი დემოკრატიის კრიზისზე ლაპარაკობს და შეშფოთებას ვერ მალავს, რადგან მიიჩნევს, რომ ღია საზოგადოებას დაცვა სჭირდება.**

**ადამიანი, რომელსაც ბევრ „ცოდვასა“ და ხელოვნური რევოლუციების ექსპორტში ამხელენ, დღეს გულგატეხილია. რა კვალი დატოვა სოროსმა საქართველოსა და მსოფლიოზე და რამდენად სწორად შეარჩია სამიზნე ჯგუფები საქართველოში არასამთავრობოების სახით?! ამის შესახებ ექსპერტი ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.**



**ტრამპი აპირებს ააღორძინოს ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ტრადიციები, დაუბრუნოს ამერიკას ის ფასეულობები, რომელიც ამერიკამ ცივი ომის შემდგომ პერიოდში გაფანტა. ტრამპი გლობალიზაციის მტერია, როგორც პუტინი. ტრამპი იმიტომ ებრძვის ჩინეთს, რომ ჩინეთმა თავისი სუპერნაციონალური იდეა ამერიკაში დანერგა და ამერიკას შეუტია ნაციონალური იდეების კუთხით. ფაქტობრივად, ამერიკა გადაიყვანა ჩინეთის ეკონომიკის განვითარების კონტექსტში. ჩინეთი გახდა სუპერსახელმწიფო 21-ე საუკუნეში. ჩინური ნაციონალიზმის იდეამ მიაღწია ზენიტს, რაც ჩან კაიშსა და მაო ძედუნსაც არ დაესიზმრებოდა.**

**– ჯორჯ სოროსი მიიჩნევს, რომ 2008 წლის შემდეგ ევროკავშირი და ევროზონა დისფუნქციური გახდა. დემოკრატია კრიზისშია, ამერიკამაც კი, დემოკრატიის ამ ლიდერმა, პრეზიდენტად აირჩია არტისტი (con artist) და სავარაუდო დიქტატორი, რომლის კაბინეტშიც არაკომპეტენტური ექსტრემისტები და გადამდგარი გენერლები არიან. ამდენად, სოროსის აზრით, ამერიკა ვერ შეძლებს დაიცვას და გაავრცელოს დემოკრატია მთელ მსოფლიოში, ხოლო ტრამპი პრინციპების დაცვას გარიგებებს ამჯობინებს. მართლაც საფრთხის ქვეშაა ღია საზოგადოება?**

– თუკი ჯორჯ სოროსი კარლ პოპერის გავლენის ქვეშაა, მაშინ მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ პოპერის იდეა სწორედ ის იყო, რომ ღია საზოგადოება თავისი განვითარების რაღაც დონემდე აღწევს და მერე შეიძლება გადაიქცეს ჩაკეტილ საზოგადოებად, ანუ მოხდეს მისი ტრანსფორმაცია. უბრალოდ, სოროსი ამ იდეას რატომღაც არ ავითარებს, რომ ღია საზოგადოება შეიძლება დავიდეს ჩაკეტილ საზოგადოებამდე. დღესდღეობით ღია საზოგადოება, ანუ ლიბერალური ტიპის საზოგადოება უკვე გადავიდა ლიბერტარიანული ტიპის განვითარებაში და ლიბერტარიანობა ეს არის უკვე ტოტალიტარიზმისკენ სწრაფვა. ამდენად, რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ტიპის მიმართულება ექნება ღია თუ დახურულ საზოგადოებას?! ლიბერტარიანობას, ანუ ზედმეტ თავისუფლებასაც აქვს თავისი ჩარჩოები. ეს ტროცკის ფაქტორმაც აჩვენა. ტროცკის, ამ პირველ სუპერლიბერალს, ფაქტობრივად, ლენინთანაც უხდებოდა დაპირისპირება ამ მიმართულებით. მერე ტროცკი თვითონვე გახდა მთავარი ტირანი.

რაც შეეხება სოროსს, ის ახლა ცრუობს. სოროსი თავის დროზე ახლო კავშირში იყო ბრიტანულ სპეცსამსახურებთან, განსაკუთრებით, მჭიდროდ თანამშრომლობდა ბრიტანულ „ინტელიჯენტ სერვისთან“. არის ასეთი ვერსიაც, რომ სოროსმა სწორედ ბრიტანეთის „ინტელიჯენტ სერვისის“ მეშვეობით გაიკაფა გზა ბიზნესში, რადგან თავისი წარმომავლობით მაინცდამაინც ასე იოლად ვერ იშოვიდა კაპიტალს. ბუნებრივია, ჯორჯ სოროსს ცივი ომის პერიოდში იყენებდნენ, რათა მას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სპეციალური ოპერაციები განეხორციელებინა.

**– ანუ სოროსი შეკრული იყო ბრიტანულ სპეცსამსახურთან?**

– რა თქმა უნდა, ეს ვერსიაა, მაგრამ მე ამ ვერსიას ვემხრობი და ვიზიარებ, რადგან შემდგომში სოროსის ფონდი გადაიქცა ფერადი რევოლუციების მთავარ დასაყრდენ ძალად არა მარტო საქართველოში, არამედ უკრაინაში, სერბეთში, აზერბაიჯანში, ცენტრალურ აზიაში, სხვა სახელმწიფოებშიც. ზოგიერთ ქვეყანაში „ღია საზოგადოება“ დაიხურა კიდეც. მაგალითად, ასე მოხდა რუსეთში. ახლა კიდევ პრემიერი ვიქტორ ურბანი უნგრეთში ხურავს „ღია საზოგადოებას“. ჯორჯ სოროსმა დააარსა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, რომელიც უნდა ყოფილიყო ერთგვარი შემკვრელი კოლექტორი აღმოსავლეთ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან წასული ადამიანებისთვის, რომლებიც იქ არა მარტო განათლებას მიიღებდნენ, არამედ იდეოლოგიურ ელემენტებსაც დაეუფლებოდნენ. ამან, ფაქტობრივად, შექმნა ერთგვარი ფერადი რევოლუციების სინდრომი. სხვათა შორის, ფერადი რევოლუციების სინდრომი ძალიან კარგად შეისწავლეს რუსეთის სპეცსამსახურებმა და ამერიკელებსა და დასავლეთს თავიანთ მოედანზე გადაუთამაშეს, ესეც მნიშვნელოვანია. ეს უკვე ტრამპმაც აღნიშნა და არ უარყო, რომ რუსების ჩართულობა წინასაარჩევნო კამპანიაში საკმაოდ სოლიდური იყო. თუმცა ტრამპმა აქცენტი ისევ ჩინელებზე გადაიტანა და თქვა, რომ ეს იმდენად რუსები კი არა, ჩინელები შეიძლება ყოფილიყვნენო და თავისი ანტიჩინური სენტიმენტები კიდევ ერთხელ გამოავლინა. მანვე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი მთავარი დარტყმის წერტილი იქნება არა რუსეთი, არამედ ჩინეთი.

დღეს ნეოლიბერალიზმი განიცდის უდიდეს კრიზისს, რადგან ნეოლიბერალებმა და მათმა რადიკალურმა შტომ-ლიბერტარიანელებმა ძლიერ მოაბეზრეს საზოგადოებას თავი და მსუბუქ ტოტალიტარიზმში გადაიზარდნენ. მიხეილ სააკაშვილის ფენომენი სწორედ ამ ტენდენციის გამომხატველია.

**– როგორც ჩანს, სოროსი თავისი ნამოქმედარით გულაცრუებულია. ფიქრობთ, იგი ე.წ. ღია საზოგადოებების დაფინანსებას შეწყვეტს?**

– ის გულაცრუებულია. ევროპასა და ამერიკაში რაც მოხდა, თუნდაც იმავე ტრამპის მოსვლა, ეს არის კონსერვატიზმის დაბრუნება, ანუ, პირობითად, დახურული საზოგადოების დაბრუნება, როგორც სოროსმა უწოდა ამ საზოგადოებას. დახურულ საზოგადოებაში მე ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ. მაგალითად, საქართველოში დახურული საზოგადოებაა. მიაქციეთ ყურადღება, სოროსმა თავისი ფონდები „ჩააგდო“ ზუსტად იმ საზოგადოებებში, რომელთაც დახურულად თვლიდა. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა. ეს იყო ბრძოლა ღია და დახურულ საზოგადოებას შორის.

**– თუმცა იმთავითვე ცხადი იყო, რომ ზედმეტი ჩარევა არსად ამართლებდა.**

– ამან არ გაამართლა. ფაქტობრივად, დღეს სოროსის საზოგადოებები ყველა მიმართულებით პასიურობენ. თუნდაც იმავე დაფინანსების კუთხით. არასამთავრობო სექტორის დაფინანსებაც შემცირდა. ზოგიერთ ქვეყანაში, უბრალოდ, ამან თავისი თავი ამოწურა და სოროსმა თავადვე დახურა ეს საზოგადოებები, მიხვდა რა, რომ მათ ფუნქციონირებას აზრი დაეკარგა.

**– თუკი სოროსი გულაცრუებულია იმ შედეგით, რაც მიიღო მსოფლიოში, მხოლოდ გულაცრუებაა საკმარისი? პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს იმის გამო, რომ სხვა ქვეყნებში ხელოვნური ჩარევები განახორციელა?**

– პასუხისმგებლობას რაც შეეხება, ისტორიამ ამას ზუსტი პასუხი უკვე გასცა, რადგან ამერიკაში ტრამპისა და ევროპაში მემარჯვენე ძალების მოსვლა სწორედ ტრადიციონალიზმის დაბრუნება, ტრადიციული ფასეულობების კიდევ უფრო აღზევებაა. ეს არის კარგი პასუხი ჩემბერლენს. კომუნისტებს ასეთი გამოთქმა ჰქონდათ – „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“. ისტორიამ პასუხი გასცა სოროსს და მისნაირებს.

**– ჩემბერლენისა არ იყოს, პასუხი გაეცა სოროსს, მაგრამ ამ პასუხის გაცემის მომენტში პუტინი წარმოჩინდა, როგორც ერთადერთი ძლიერი ძალა. ცნობილია, რომ სოროსი ევროკავშირის თავგამოდებულ მხარდამჭერად ითვლებოდა და ევროკავშირს ღია საზოგადოების იდეის განსახიერებად მიიჩნევდა, მაგრამ ევროპაშიც იმედგაცრუება ნახა, რადგან ევროპაშიც პუტინი თავის ძალაუფლებას ავლენს.**

– პუტინი ხისტი ტოტალიტარიზმის გამომხატველია. იგი არ მალავს თავის მისწრაფებებს. ის იმ რბილ ტოტალიტარიზმს დაუპირისპირდა, რომლის დროსაც ყველაფრის დაშვებულობა მიდის უკვე აღვირახსნილობისკენ. ხალხს, უბრალოდ, მოენატრა წესრიგი, რომლის დისკრედიტირებაც არასწორად მოხდა. ამ ფონზე პუტინი დაწინაურდა. ტრამპის რეციდივიც ამის გამოხატულება იყო. მართალია, რუსული სპეცსამსახურები ამერიკის შიდა საქმეებში იყვნენ ჩარეული, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ მათ მოეხდინათ გადატრიალება ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში. უბრალოდ, მთლიანად ამერიკული საზოგადოება დაიღალა ლიბერტარიანული იდეებისგან, დაიღალა ლიბერალიზმისგან. ამიტომ ამერიკის სათავეში მოვიდნენ კონსერვატიული იდეების მქონე ადამიანები. მოვიდა ტრადიციონალისტი ტრამპი, რომელმაც ღია ომი გამოუცხადა ლიბერტარიანიზმის მავნე იდეოლოგიას.

**– თუმცა ეს ის ტრამპია, რომელსაც სოროსი არტისტსა და დიქტატორს უწოდებს.**

– ბუნებრივია, სოროსისთვის ის დამღუპველი ძალაა. სხვათა შორის, პუტინიც ტრადიციონალისტია. ცხადია, პუტინი საქართველოს მტერია. რაც პუტინმა გააკეთა რუსეთის სასარგებლოდ, ჩვენთვის მავნე იყო, თორემ რეალურად პუტინმა თავისი ქვეყნის მასშტაბით პოპულარობა მოიხვეჭა. ელცინისა და პუტინის რუსეთი რადიკალურად განსხვავებულია. კი, იქ არის ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც გადადის ხისტ ტოტალიტარიზმში, მაგრამ რუსეთისთვის ტოტალიტარიზმი ჩვეულებრივი ფორმაა. ცნობილი გეოპოლიტიკოსი კოლინ გრეი ამბობდა, რუსეთს არ შეუძლია, იარსებოს ავტორიტარიზმის გარეშე. ეს აქსიომაა.

გვინდა თუ არა, დღეს რუსეთის მოსახლეობის 80% პუტინს უჭერს მხარს და პუტინის რეფორმებით კმაყოფილია. მან დაამყარა წესრიგი, ეკონომიკურ სიძლიერეს მიაღწია. იქ არ არის დამშეული ხალხი, სოციალურ ნიადაგზე ბუნტი არ იმართება, როგორც ეს ხდებოდა ელცინის დროს, როცა შიმშილი და სიღატაკე იყო. იდეოლოგიურად პუტინი და ტრამპი ერთ სიბრტყეზე დგანან. ამიტომაც ტრამპი აპირებს რუსეთთან ურთიერთობის განავითარებას, ტრამპისთვის პუტინის კონსერვატიული იდეა უფრო მისაღებია, ვიდრე ობამას ნეოლიბერალური და მაკკეინისეული ლიბერტარიანული იდეოლოგიის ელემენტები. აქ უკვე იდეოლოგიური დაპირისპირების ელემენტები შემოვიდა.

ტრამპი აპირებს ააღორძინოს ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ტრადიციები, დაუბრუნოს ამერიკას ის ფასეულობები, რომელიც ამერიკამ ცივი ომის შემდგომ პერიოდში გაფანტა. ტრამპი გლობალიზაციის მტერია, როგორც პუტინი. ტრამპი იმიტომ ებრძვის ჩინეთს, რომ ჩინეთმა თავისი სუპერნაციონალური იდეა ამერიკაში დანერგა და ამერიკას შეუტია ნაციონალური იდეების კუთხით. ფაქტობრივად, ამერიკა გადაიყვანა ჩინეთის ეკონომიკის განვითარების კონტექსტში. ჩინეთი გახდა სუპერსახელმწიფო 21-ე საუკუნეში. ჩინური ნაციონალიზმის იდეამ მიაღწია ზენიტს, რაც ჩან კაიშსა და მაო ძედუნსაც არ დაესიზმრებოდა.

**– ფიქრობთ, რომ ტრამპის განცხადებების შემდეგ სოროსსა და, ასევე, ქართულ არასამთავრობოებსაც პრობლემები შეექმნებათ?**

– არასამთავრობოებისადმი ტრამპის დამოკიდებულება შეიცვლება. ჩვენი არასამთავრობო სექტორი, იცით, როგორ არის? ჩვენ მაინც უფრო მომხმარებელი, ანუ მერკანტილისტური საზოგადოება ვართ. ზოგიერთმა ჩვენმა არასამთავრობომ ლიბერტარიანული იდეა მოირგო სწორედ ფინანსებიდან გამომდინარე. ეს სამწუხარო რეალობაა. ახლაც საითკენაც გადაიხრება ღერძი, ტრანსფორმაცია იქითკენ წარიმართება, რადგან იდეოლოგიური ბაზა ჩვენთან მყარი არ არის.

სოროსსაც უკვე შეექმნა პრობლემები. სოროსის ფონდის კულმინაციური პერიოდი დაემთხვა 2002-2003 წელს, როცა ამ ფონდმა საქართველოში თავის ზენიტს მიაღწია. შემდგომ იყო ერთგვარი დაცემა, დაფინანსების გამოყოფის დინამიკა დღეს შემცირებულია. არასამთავრობო ორგანიზაციის მართვა უკვე არამომგებიანი გახდა და ფილანთროპიის დონეზე გადავიდა. ამით შეიძლება მხოლოდ საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილო. ადრე კი შექმნიდი არასამთავრობო ორგანიზაციას და შეგეძლო გრანტებით გესულდგმულა. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საქართველოში უკვე ჩაკვდა.

**– არასამთავრობოები უმცირესობების უფლებების ზედმეტად დაცვას გვავალდებულებდნენ. ახლა შეიძლება, პირიქითაც მოხდეს და ტრადიციული ღირებულებების დამცველი არასამთავრობოები შეიქმნას.**

– ეს მარტო საქართველოში არ ხდება. ასევეა ევროპაშიც, ამერიკაშიც. ახლა უკვე იწყება დახურული საზოგადოების განვითარების ხანა. ვარდების რევოლუცია იყო ნეოლიბერალების ექსპერიმენტი ისევე, როგორც ბოლშევიკები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და თქვეს, რომ ისინი აპირებდნენ კარგი საზოგადოების შექმნას. სხვათა შორის, ბოლშევიკებიც თავის დროზე კარგი იდეებით მოვიდნენ, გლეხებს დაურიგეს მიწები, მუშებს მისცეს ქარხნები, დაიწყეს რეფორმები, რაც ნიკოლოზ მეორის პერიოდში არ ტარდებოდა. ნეპი-ს (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) დროს საბჭოთა რუსეთმა განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. ნეპი რომ დარჩენილიყო, საბჭოთა კავშირი სულ სხვა დონეზე განვითარდებოდა... სხვათა შორის, ბოლშევიკების დროს ეროვნულმა უმცირესობებმა სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. თუნდაც ფინეთმა, პოლონეთმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა. დე იურედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პირველად სწორედ რუსეთმა აღიარა. რატომღაც ატროფირებული დამოკიდებულება გვაქვს ჩვენი ისტორიის მიმართ. 1918-21 წლებთან დაკავშირებით ბევრი მითი გაჩნდა.

1921 წლის თებერვალში მარტო ბოლშევიკური რუსეთი არ შემოჭრილა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთდროულად ოსმალებმა, ანატოლიის ჯარებმა შემოუტიეს და ეს იყო რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი აქცია. იმავე ბოლშევიკებმა შემოიღეს მაქსიმალური თავისუფლება. ეს ტროცკის იდეა იყო, მათ შორის, პირველად შემოიტანეს თავისუფალი სექსი, ლგბტ-თა უფლებების დაცვა, ვიდრე ნეოლიბერტარიანელებმა, დღეს რომ იცავენ უმცირესობებს. მერე უკვე ბოლშევიზმში კონსერვატორული ფრთა დაუპირისპირდა ნეოლიბერტარიანულ ფრთას და სტალინმა რომ გაიმარჯვა, განახორციელა თავისებური პოლიტიკა. იქაც იყო დაპირისპირება ღია და დახურულ საზოგადოებას შორის. ეს ყველაფერი არახალია და ყველაფერი მეორდება.

თავისუფლებასაც აქვს საზღვარი. არ შეიძლება ყველაფრის თავისუფლება. აბსოლუტური თავისუფლება კანტმაც უარყო. აღვირახსნილ თავისუფლებას საზოგადოება მიჰყავს ანარქიისკენ. ამიტომ საზოგადოებამ უარი უთხრა ანარქიას.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# უკონტროლობა რყვნის, აბსოლუტური უკონტროლობა აბსოლუტურად რყვნის!

## როგორ ვაკონტროლოთ ხელისუფლება?



**პარლამენტის არსი ის არის, რომ იგი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო უნდა იყოს და არა პარტიების წარმომადგენლობითი ორგანო. ასეთი პარლამენტის არჩევა კი მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით არის შესაძლებელი და არა პარტიულ-პროპორციული ან შერეული სისტემით, რადგან შერეული სისტემით არჩეული მაჟორიტარებიც, სინამდვილეში, პარტიების წარმომადგენლები არიან და არა ხალხის წარმომადგენლები.**

### 2. მაჟორიტარული არჩევნები – დემოკრატიის სრულყოფის საშუალება

**ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის: კონტროლის მექანიზმი არსებობს, მაგრამ იგი მოშლილია და არ მუშაობს. მოშლილი მექანიზმი კი ბერკეტობას ვერ გაწევს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ავამუშაოთ მექანიზმი და კონტროლის ბერკეტად ვაქციოთ.**

კონტროლის მექანიზმი პარლამენტია. მისი ფუნქციაა, აკონტროლოს ხელისუფლება, მაგრამ იგი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ვერ ასრულებს იმიტომ, რომ უკუღმართობას აქვს ადგილი: ის, ვისაც უნდა აკონტროლებდნენ, ის აკომპლექტებს მაკონტროლებელს: აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავს პარლამენტს და არა პარლამენტი — აღმასრულებელ ხელისუფლებას, დანიშნული კი დამნიშვნელს ვერ გააკონტროლებს.

პარლამენტი რომ თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, ამას, მისდა სასახელოდ, მისი პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილიც აღიარებს: **„საქართველოს პარლამენტს უნდა ჰქონდეს ტვინის ფუნქცია სახელმწიფოს ორგანიზმში, სადაც ხდება პოლიტიკის გააზრება, შემუშავება და დასახვა, სადაც იბადება პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელსაც პარლამენტი ვერ ასრულდებდა. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ პარლამენტმა ეს როლი შეასრულოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზედამხედველო ფუნქცია. როდესაც ჩვენ გვინდა იყოს ძლიერი საპარლამენტო რესპუბლიკა, ეს ამ ფუნქციის გარეშე ვერ შედგება. თუ საქართველოს პარლამენტს არ ექნება იმის გამოცდილება, რესურსი და კომპეტენცია, რომ ზედამხედველობა განახორციელოს ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ იმაზე, რომ ქვეყანას ჰყავს ძლიერი საკანონმდებლო ორგანო. მე მგონია, ამის რესურსი საქართველოს პარლამენტს აქვს, რომ ეს ახალი მიმართულებები გააძლიეროს თავის საქმიანობაში და პარლამენტი აქციოს ნამდვილ საკანონმდებლო ძლიერ ორგანოდ“.**

ერთადერთი, რაშიც ვერ დავეთანხმები პატივცემულ თამარს, მისი ოპტიმიზმია, თითქოს საქართველოს პარლამენტს იმის რესურსი ჰქონდეს, რომ მან „ახალი მიმართულებები გააძლიეროს თავის საქმიანობაში და პარლამენტი აქციოს ნამდვილ საკანონმდებლო ძლიერ ორგანოდ“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების დანიშნულია და შეუძლებელია ზედამხედველობა განახორციელოს მის საქმიანობაზე. მიზეზთა მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დღევანდელი პარლამენტიც, ისევე, როგორც ადრინდელი (გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის დროინდელი) პარლამენტები, არჩეულია პარტიულ-პროპორციული სისტემით, რაც საშუალებას აძლევს გამარჯვებულ პარტიებს, თვითონ დააკომპლექტონ აღმასრულებელი ხელისუფლებაც და მორჩილი პარლამენტიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს პარტიების პარლამენტთან და არა ხალხის პარლამენტთან.

პარლამენტის არსი ის არის, რომ იგი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო უნდა იყოს და არა პარტიების წარმომადგენლობითი ორგანო. ასეთი პარლამენტის არჩევა კი მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით არის შესაძლებელი და არა პარტიულ-პროპორციული ან შერეული სისტემით, რადგან შერეული სისტემით არჩეული მაჟორიტარებიც, სინამდვილეში, პარტიების წარმომადგენლები არიან და არა ხალხის წარმომადგენლები.

პარლამენტი, უბრალოდ, დეპუტაციაა მიტინგზე მდგომი ხალხისა, რომ მისი პეტიცია მიიტანოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რადგან შეუძლებელია, მთელი ხალხი პეტიციონერი იყოს. პარლამენტი მიტინგის ცივილიზებული ფორმაა, რომ მიტინგებმა არ დაანგრიოს ქვეყანა, პეტიციონერი დეპუტატები კი, ქუჩის მაგივრად, უბრალოდ, დახურულ შენობაში სხედან, რომელსაც პარლამენტი ეწოდება.

ამრიგად, ყველა უბედურების სათავე საარჩევნო სისტემის მანკიერებაშია, სახელდობრ, პარტიულ-პროპორციულ სისტემაში, რაც წინდაწინვე განაპირობებს პარლამენტის მკვდრადშობას, ხელისუფლების უკონტროლობას და ხალხის უბერკეტობას. ამ სისტემის შედეგია ის უბედურებაც, რომ 3-მილიონიან ქვეყანაში 221 პარტიაა დარეგისტრირებული, რაც იმის გამო ხდება, რომ პარტიის გაუფორმებლად ნებადართული არ არის პიროვნების კანდიდატად დასახელება, რის გამო მრავალი ღირსეული პიროვნება (ღირსეულები კი დღეს მეტწილად უპარტიოები არიან) არჩევნების მიღმა რჩება.

შესაძლოა, ზოგჯერ პიროვნულად არჩეულმა დეპუტატმაც ვერ გაამართლოს მისი ამრჩევი ხალხის იმედი. ამიტომ დროული და გადაუდებელია „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობილი ჟურნალისტის **გია გაბრიჭიძის** წინადადება, რომლის თანახმად, **„პირველი და უმთავრესი არის ის, რომ საკონსტიტუციო კომისიამ პირველ რიგში დეპუტატის და ყველა არჩევითი თანამდებობის პირის გაწვევის წესი უნდა შეიმუშაოს“. პიროვნულად არჩეული დეპუტატის გამოწვევა კი უფრო იოლი იქნება, ვიდრე პარტიის სიით გასული „დეპუტატის“** .

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პარლამენტის ასარჩევად, მიზანშეწონილია, გაუქმდეს პარტიულ-პროპორციული სისტემა და შეიცვალოს იგი მთლიანად პიროვნულ-მაჟორიტარული სისტემით, რაც საშუალებას მისცემს ხალხს, აირჩიოს არა პარტიები და მათი სიებით გასული, საზოგადოებისათვის უცნობი ან ცუდად ნაცნობი პირები, არამედ, თავიანთი საქმიანობითა და პრინციპულობით გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც დააკომპლექტებენ პარლამენტს, დანიშნავენ მთავრობას და გააკონტროლებენ მის მუშაობას.

მაგრამ ალმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ შერეული, ანუ ნახევრად მაჟორიტარული სისტემის მთლიანად პარტიულ-პროპორციული სისტემით შეცვლას და, ხელისუფლებაც, რა ენაღვლება, დათანხმდა ამ ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგო მოითხოვნას. ყველაზე გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ ამ მოთხოვნას სათავეში უდგანან პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი და აწ უკვე პარლამენტის ვიცე-სპიკერი, თვითონ ირმა ინაშვილი და პარტიის თავმჯდომარე და „თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი“ დავით თარხან-მოურავი!

საქართველოს დამსახურებული ეკომომისტი და პუბლიცისტი **ანზორ ბაბუხადია** ხმალამოღებული იბრძვის პარლამენტისა და ქვეყნის დამაქცევარი პარტიულ-პროპორციული სისტემის წინააღმდეგ და ცდილობს დაიცვას მაჟორიტარული სისტემის იდეა: **„გირჩევთ, შეწყვიტოთ მსჯელობა არჩევნების მაჟორიტარული წესით ჩატარების გაუქმების თაობაზე. გაითვალისწინეთ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებათა გამონათქვამები, რომ: „დეპუტატი ხალხის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული და არა პარტიისა“; „პარტიულ-პროპორციული ან შერეული სისტემა საშუალებას აძლევს ამა თუ იმ პარტიის ლიდერს, ხალხის გვერდის ავლით, ხელისუფლებაში მოიყვანოს თავისთვის სასურველი ადამიანები, რომლებიც დამოკიდებული იქნებიან პირადად მასზე და არა ხალხზე“; „პარლამენტი უნდა იყოს ქვეყნის თვალსაჩინო სპეციალისტების (პიროვნებების) თავყრილობა, რომელიც მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით შეიძლება აირჩეს და არა პროპორციული სისტემით“ და სხვა“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28.12.2016).

რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებს, მათ, ჩემი აზრით, არც არჩევა სჭირდებათ და არც არჩევნები: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „პატრიოტები“ არიან, პატრიოტებს კი რა არჩევა უნდა, აურჩევლად უნდა დავსვათ, უფრო სწორად, დასხდნენ ხელისუფლებაში! მეორეც იმიტომ, რომ სამეფო ადამიანები არიან (ქალბატონი ირმასი არ ვიცი, მაგრამ ბატონი დავითი, მარტო გიორგი სააკაძის ჩამომავალი რომ გვეგონა, თურმე გიორგი XII-ის შთამომავალიც ყოფილა!), მეფეები კი არჩევნებით არ ჩამოუყრიათ, რომ არჩევნებით დაბრუნდნენ! ისინი უნდა დაბრუნდნენ, როგორც ბურბონები, რომლებსაც არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დავიწყნიათ!



**ომარ ხახაშვილი**
ბელგია, ვარეგემი.

*დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №23.*

## ახალი ავტობუსები აეროპორტის გზაზე

2 თებერვლიდან „მანი“-ს ახალი ავტობუსები №37 მარშრუტზე იმოძრავებს. სადგურის მოედანი-აეროპორტის მიმართულებით 10 ახალი ავტობუსი ივლის. ამავდროულად, აღდგება ღამის რეისებიც. 23 საათიდან დილის 7 საათამდე პერიოდში პირველ ეტაპზე 90-წუთიანი ინტერვალით თითო ლურჯი ავტობუსი იმუშავებს. მგზავრობის საფასური დღე-ღამის საათებში ერთნაირი და სტანდარტული, 50 თეთრი იქნება. ასევე, ძალაში დარჩება მერიის მიერ დაწესებული შეღავათებიც.



**„ეს ძალიან მნიშვნელოვანი მარშრუტია, ემსახურება როგორც ჩვენს თანამოქალაქეებს, ასევე, ტურისტებს. მალე, დედაქალაქის ვიზიტორები, აეროპორტის ტერიტორიაზე, შეძლებენ „მეტრომანის“ ბარათების შეძენას, რომლის საშუალებითაც ისინი მგზავრობის საფასურს გადაიხდიან და ახალი მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა მათთვის კიდევ უფრო კომფორტული გახდება“,** – განაცხადა დავით ნარმანიამ.

## განახლდა მწვანე ნარგავების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები

**უხვი ნალექის მოსვლასთან დაკავშირებით, ბათუმის ბულვარში ხე-მცენარეებისა და მწვანე ნარგავების თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოები ისევ განახლდა. დაბერტყვით სამუშაოებში ადმინისტრაციის აგრონომიული და ტექნიკური სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ბათუმის ბულვარის დირექტორი ეთერ მაჭუტაძე და ხელმძღვანელობაც ჩაერთო.**



გაწმენდითი სამუშაოები ბათუმის ბულვარში მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბათუმის ბულვარში დიდთოვლობის სალიკვიდაციო სამუშაოები უკვე მეოთხე დღეა, ინტენსიურად მიმდინარეობს. თოვლის საფარისაგან ხე-მცენარეების გაწმენდითი სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია. სხვადასხვა ლოკაციებზე სამუშაოები რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს: დაზიანებული ხის ტოტების დამუშავება-გატანა, სავალი ბილიკების თოვლისა და ყინულის ზედაპირისაგან გაწმენდა, დეკორატიული ნარგავებისა და საბაღე სკამების გასუფთავება.

მიმდინარე სამუშაოებში ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის, ტექნიკური და აგრონომიული სამსახურების 60-მდე თანამშრომელია მობილიზებული.

# მეგობრული შემოლაწუნება ქართველ ელიტას



# როგორ „დაიმონა“ ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ინტელიგენცია?!

ძალიან ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლებოდა შემერჩია სიტყვა **„დამონების“** შესატყვისად, მაგრამ ვერაფერი მოვარგე. ვერც **„მოაყომარა“**, ვერც **„დააჩოქა“**, ვერც **„გააბრუა“**, ზუსტად ვერ გამოხატავს იმ შინაარსს, რასაც მე ამ სტატიაში მოვიაზრებ. **ფაქტი ერთია: თანამედროვე ქართველი ინტელიგენცია რეამინირებულია და მისი სასუნთქი ბალიში ერთ ადამიანს უჭირავს ხელში!**

თუმცა, სიტყვა **„დამონება“** ამ შემთხვევაში პირობითია — მათ მიმართ ძალა არავის გამოუყენებია, ისინი თვითონვე დანებდნენ, უფრო სწორად, ფულზე გაიყიდნენ და ეს ყველაფერი ქველმოქმედების შარავანდედით შეიმოსა...

ლეგენდები დადის ბატონ **ბიძინა ივანიშვილზე,** როგორც სწორუპოვარ ქველმოქმედზე. უდავოა, რომ მის სახელს ძალიან ბევრი კეთილი საქმე უკავშირდება საქართველოში. მასზე, როგორც უჩინარ (განდიდების მანიით არშეპყრობილ) მეცენატზე გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ძალიან ბევრს საუბრობდნენ...

**ივანიშვილის** სახელმა განსაკუთრებული ბრწყინვალება სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის პროცესში შეიძინა. ასევე მის სახელს უკავშირდება არაერთი კულტურული ძეგლისა და ეკლესია-მონასტრის აღდგენა-რესტავრაცია. თუმცა, განსაკუთრებული ხელწერა მაინც მშობლიურ ჭორვილას დაატყო, რომელიც ევროპული დონის საცხოვრისად აქცია...

მოგვიანებით კი იმაზეც დაიწყეს საუბარი, რომ ქართველმა მილიარდერმა ათასობით ინტელიგენტი — მწერალი, არტისტი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე „სიკვდილს“ გადაარჩინა.

დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში ქართველ ინტელიგენციას რომ გაუჭირდა, ფაქტია, თუმცა, არა ყველას — იყვნენ ინტელიგენტები, ხელისუფლების მიერ **ჩაწიხლულები** და იყვნენ **მუდმივად პრივილეგირებულები,** ანუ ყველა დროის წარმატებულები, რომლებსაც ჩვეულებრივი ინტელიგენციისგან განსხვავებით პურის ფულის პრობლემა ნამდვილად არ ჰქონიათ!

როგორც მოგვიანებით გაირკვა, **ბიძინა ივანიშვილმა** შეფობა აიღო ქართველ ინტელიგენციაზე (აქ ძირითადად დედაქალაქის „ნაღები“ საზოგადოება იგულისხმება) და ყოველთვიური სტიპენდიის სახით ზოგს მეტს, ზოგს ნაკლებს უხდიდა (და დღესაც უხდის)!

ოფიციალურად ქველმოქმედება შემდეგნაირად განიმარტება: **ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური დახმარება, რომელიც უანგაროდ გაეწევა იმ პირს, ვინც საჭიროებს დახმარებას, ან ნებისმიერ პირს, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.**

დიახ, ქველმოქმედება ღვთიური საქმეა, მითუმეტეს, თუ იგი ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება, მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვის ნიშნები, რომელზე პასუხიც ნათლად წარმოაჩენს დღევანდელი ქართველი ინტელიგენციის მდგომარეობას, ანუ იმას, **თუ რატომაა „საზოგადოების ნაღები“ ხან პირში წყალჩაგუბებული, ხან კი უაზროდ და არაობიექტურად „ხმალშემართული“?!**

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდე, უპრიანია აღვნიშნო ერთი გარემოება: **ივანიშვილის მიერ დასაჩუქრებულებში ნახევარზე გაცილებით მეტი თუ განცხრომაში არ ცხოვრობს და მილიონებს არ ეთამაშება, ყოველ შემთხვევაში დახმარებას ნამდვილად არ საჭიროებს** (სახელებისა და გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის!). **არადა, დახმარებას მაინც სიამოვნებით იღებს.**

ადამიანის ხარბი ბუნებიდან გამომდინარე, **„ზედმეტი ფული“**, ალბათ, არ არსებობს, **მაგრამ, არსებობს ფულის შოვნის წესიერი და არაწესიერი გზა.**

**დრომ დაადასტურა, რომ ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა ივანიშვილისგან ფულს იმიტომ იღებს, რომ ყველაფერზე (მათ შორის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯებზე) თვალი დახუჭოს, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში თავისი მამა და მარჩენალი ხმალამოღებულმა დაიცვას, თუნდაც ამისთვის ობიექტური წინაპირობები არ არსებობდეს!!!**

დასკვნა მარტივია: **ქართველი ინტელიგენცია, ანუ ერის „გონიერი“ ნაწილი, ფულზე გაყიდულია — ის არაფერს ხედავს, არაფერი ესმის!**

**ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ერს ავტორიტეტები არ ჰყავდეს და მათი სიბრძნით გაჟღენთილი და სამართლიანი ხმა არ ისმოდეს!**

**ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ქართველ მეცნიერებს არავინ არაფერს ეკითხებოდეს!**

**ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების აღიარებული მოღვაწეების ომახიანი შეძახილები ქვეყანაში არ ისმოდეს — პირიქით, ისინი თავიანთი აგრესიული, ცინიკური თუ არაადეკვატური განცხადებებით უფრო და უფრო დაშორდნენ საზოგადოებას.**

ეს იმას **ნიშნავს, რომ ერს გონი შეგნებულად გამოაცალეს!** ... და ყოველივე ამის შემდეგ გვიკვირს, რატომ არის ქვეყანაში ყველაფერი ცუდად, რატომ ვერ გამოვდივართ იმ მოჯადოებული წრიდან, სადაც ჩვენი უნიათობით და ჩვენივე მარიონეტი თანამემამულეების ძალისხმევით აღმოვჩნდით. რატომ გახდა საქართველო მარგინალიზებული პოლიტიკოსების საჯირითო მოედანი?!

ღმერთმა შეუწიროს ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** ის კეთილი საქმეები, რომელიც მან საქართველოს საკეთილდღეოდ გააკეთა, მაგრამ, ქართველ ინტელიგენციასთან მიმართებაში მისი ქველმოქმედება უანგარო ნამდვილად არ ყოფილა: **ჯერ ერთი,** ისეთ ადამიანებს დაენიშნათ სტიპენდიები, რომლებიც მისგან დახმარებას არ საჭიროებდნენ, **მეორეც,** ეს „დახმარება“ წინასწარ განზრახული მოტივაციის ხასიათს ატარებს და იგი არც მეტი, არც ნაკლები — **ქართველი ინტელიგენციის მოსყიდვას, პოლიტიკურ პროცესებში მათ თამაშგარე მდგომარეობაში ჩაყენებას ემსახურება.**

**აბა დამისახელეთ ქართველი ავტორიტეტებიდან (აღიარებული ინტელიგენტებიდან) რომელი ერთი აფასებს ობიექტურად ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებს, რომელმა საზოგადო მოღვაწემ, ან თვალსაჩინო მეცნიერმა გამოხატა ოფიციალური პროტესტი თუნდაც ქართული მიწის ხელაღებით გასხვისების, ან სხვა ანტიქართული ინიციატივების წინააღმდეგ?!**

არც ერთმა. მიზეზი მარტივია: **ისინი მოსყიდულები (დავალებულები), ანუ „დამონებულები“ არიან და მონობის უღლიდან თავს საკუთარი ძალებით და საკუთარი სურვილით ვერც დაიხსნიან.**

ეს მწარე სიმართლეა. სხვა საკითხია, ვის მოეწონება და ვის არა.

**ერს, რომლის ინტელიგენცია გაყიდული და „დამონებულია“, წუმპედან ამოსვლა მანამდე გაუჭირდება, სანამ მას (ერის გონიერ ნაწილს) მონობის კლანჭებიდან არ იხსნის!..**

ჯანსაღი ყლორტი ჯანსაღი ფესვიდან აღმოცენდება: ასეა თაობათა ცვლის შემთხვევაშიც — მომავალი თაობა ყოველთვის წინამორბედისგან იღებს მაგალითებს. დღევანდელი ინტელიგენციის მაგალითზე კი ვეჭვობ, რომ ჯანსაღი მემკვიდრეობა მივიღოთ.

სად არის გამოსავალი?

გამოსავალი ინტელიგენციისთვის გემრიელად „შემოლაწუნებაში“ და მათი „მონობის“ კლანჭებიდან დახსნაშია. ვეცადოთ ყოველ შემთხვევაში!

აი, რას ამბობდა თავის დროზე **ჯავაჰარლალ ნერუ: „არ არსებობს უფრო დიდი მტერი საკუთარი ხალხისა, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენციაა“**. მე კი დავამატებ: კოლონიზატორის მიერ დაპურებული ინტელიგენციაა...

**ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება კოლონიზატორი!**



**ზაურ ნაჭყებია,**
**პუბლიცისტი, „სამოქალაქო ინიციატივის ჯგუფის“ წევრი**

## ⦿ ექსპორტ-იმპორტის მოციმციმე „კარდიოგრამა“

# საქართველოს საგარეო ვაჭრობის არასახარბიელო ტენდენციები

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის მანძილზე საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა, მაგრამ, ამავე დროს, შემცირდა კიდეც. სტატისტიკურად ზრდის სურათს ქმნის „C ჰეპატიტის“ მედიკამენტების იმპორტი, რომელთა გარეშე კლებას განიცდის საგარეო ვაჭრობის ორივე კომპონენტი — როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, რომლებიც საგარეო სავაჭრო ბრუნვას ასახავს, ნათელი ხდება, რომ 2016 წლის მანძილზე საზღვარგარეთ საქართველოს პროდუქციის ექსპორტი კლებას განაგრძობდა.

ზოგადად, 2016 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11 მილიარდ 966 მილიონი (თითქმის 12 მილიარდი) აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 2 მილიარდ 114 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, ანუ 4 პროცენტით ნაკლებს, ხოლო იმპორტი 9 მილიარდ 852 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც 27-პროცენტიან მატებას ცხადყოფს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების გრანტით განხორციელდა C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტირება, რომლის გარეშეც დათვლილი იმპორტი შეადგენს 7 მილიარდ 233 მლნ. აშშ დოლარს, რაც 1 პროცენტით ნაკლებია 2015 წლის მონაცემებზე. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წელს 7 მილიარდ 738 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 65 პროცენტი შეადგინა.

**საგარეო ვაჭრობის საერთო სტატისტიკაში გაზრდილია ევროკავშირთან ვაჭრობის მაჩვენებელი. მისმა მოცულობამ 3 მილიარდ 601 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 571 მლნ. აშშ დოლარი იყო, 12 პროცენტით ნაკლები. ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მოქმედებს.**

**რაც შეეხება იმპორტს, ევროკავშირის ქვეყნებთან ის 3 მილიარდ 30 მლნ. აშშ დოლარს — 20 პროცენტით მეტს — შეადგენს. იმპორტის ასეთი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს მიერ C ჰეპატიტის სამკურნალოდ უსასყიდლოდ მიღებული წამლების დიდი ოდენობის იმპორტირება იყო.**

**საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის წილმა 30 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში — 27 პროცენტი და იმპორტში — 31 პროცენტი (2015 წელს, შესაბამისად, 32, 29 და 33 პროცენტი).**

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ უამრავ ნაბიჯს დგამს საექსპორტო პოტენციალის განვითარებისთვის, ახორციელებს სხვადასხვა სუბსიდიას და ცდილობს ახალი ბაზრების მოძიებას, და სტატისტიკასაც დამაიმედებლად მიიჩნევს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის აზრით, ექსპორტის სტატისტიკის შემცირება მსოფლიო ფასების შემცირებამ გამოიწვია: **„ექსპორტი რაოდენობრივად გაზრდილია, თუმცა თანხობრივ მაჩვენებლებში, ვინაიდან საექსპორტო ძირითად ბაზრებზე ფასები არის ძალიან დაცემული, ექსპორტი ვერ დაეწია იმპორტს და ამის გამო არის სწორედ ის, რაც ხდება. უკვე დაწყებულია იმპორტის კორექტირება და აუცილებლად მოხდება ლარის კურსის დასტაბილურება“.**

პრემიერ-მინისტრის მიერ ნახსენები ლარის კურსის სტაბილურობა აუცილებელი პირობაა საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდისთვის, უფრო მეტად კი ექსპორტის გასაძლიერებლად. „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ წარმომადგენლის მერაბ ჯანიაშვილის აზრით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის შემცირება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილმა ეკონომიკურმა სირთულეებმაც გამოიწვია.

იხ. 8 გვ.

# ქართული ინტელექტუალური პროდუქტი საერთაშორისო მიმოქცევაში

საზოგადოებას მინდა, შევახსენო, რომ 2011 წ. გამოქვეყნდა გ.თავაძისა და ა. შტეინბერგის მონოგრაფია Получение специальных материалов методами самораспространяющегоя высокотемпературного синтеза (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 206 გვ.), რომელიც 2013 წ. ინგლისურად დასტამბა მეცნიერული წიგნის გამოცემაზე ორიენტირებულმა მსოფლიოს უდიდესმა და ცნობილმა გამომცემლობამ „Springer“-მა შემდეგი სათაურით: "Production of Advanced Materials by Methods of Self-Propagating High - Temperature Synthesis". ამის შესახებ საზოგადოება ინფორმირებული გახლდათ („საქართველოს რესპუბლიკა“ 75, 23 აპრილი, 2013 წ).










წიგნის ავტორები არიან არაორგანული მასალათმცოდნეობის ცნობილი სპეციალისტები: ჩვენი თანამემამულე ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოში თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი გიორგი თავაძე და აშშ-ის ბერკლის ქიმიური ინჟინერიისა და მასალათმცოდნეობის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე შტეინბერგი.

ამჯერად ქართულ ტექნიკურ ინტელიგენციას სიხარულით ვაუწყებ და მივულოცავ ამ მონოგრაფიის კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას: 2016 წლის მიწურულს ჩინეთის გუანჩჟოუს პროვინციის უნივერსიტეტის თაოსნობით იგი ითარგმნა და გამოიცა ჩინურ ენაზე. ამგვარად, ჩვენი თანამემამულის გიორგი თავაძის მეცნიერული ნააზრევი ხელმისაწვდომი გახდა თითქმის მთელი მსოფლიოს მეცნიერთათვის. რამ განაპირობა ამ მეცნიერული ნაშრომის ამგვარი პოპულარობა?

სათაურიდანვე ჩანს, რომ წიგნი ეხება მასალათმცოდნეობას, ანუ მეცნიერებას მასალების შესახებ. დღევანდელი ტექნიკური პროგრესი ბევრად არის დამოკიდებული ახალი სპეციალური თვისებების მქონე მასალების მიღება-დამუშავებასთან. სწორედ ამიტომ მოიხსენიება მასალათმცოდნეობის პრობლემები ყველა ცივილიზებული ქვეყნის პრიორიტეტულ მეცნიერულ მიმართულებათა ჩამონათვალის სათავეში, ხოლო ზოგადად მიჩნეულია, რომ მასალათმცოდნეობა ეკოლოგიურ და ბიო-სამედიცინო პრობლემებთან ერთად განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების კურსს XXI საუკუნეში.

თვითონ ის ფაქტი, რომ წიგნი ითარგმნა ინგლისურ და ჩინურ ენებზე ადასტურებს წიგნში დამუშავებული მეცნიერული კონცეფციების მნიშვნელობას თანამედროვე არაორგანული მასალათმცოდნეობის ინჟინერიაში, ხოლო ორი ცნობილი სპეციალისტის ხანგრძლივი ვირტუალური თანამშრომლობის შედეგად წიგნში ჩამოყალიბებული მეცნიერული დოქტრინა საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ წიგნში საუბარია ე.წ. თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით **(თმს)** ახალი მასალების მიღებაზე. რა მაგიური თვისებებით გამოირჩევა ეს პროცესი, რომ ასე მონუსხა მთელი მსოფლიო. საკითხი ეგზოთერმულ პროცესებს, ანუ ისეთ რეაქციებს ეხება, რომლებიც სითბოს გამოყოფით მიმდინარეობენ. ჩვეულებრივ საწყისი კაზმი მორეაგირე კომპონენტების დაქუცმაცებული ნარევის სახით შეიცავს მრავალრიცხოვან რეაქციულ კერას, მათი რაოდენობა მთელ მოცულობაში ჰეტეროგენური ანუ სხვადასხვასახელა კონტაქტების რიცხვის რიგისაა. რეაქციის ინიცირება შეიძლება მოვახდინოთ ე.წ. თბური აფეთქების რეჟიმში ან თმს-ით. პირველ შემთხვევაში მთელი მოცულობა ხურდება ინერტული სხეულის მსგავსად გარედან მიწოდებული სითბოს ხარჯზე. ამას ლითონთერმიული პროცესი ეწოდება. იგი ცნობილმა რუსმა ქიმიკოსმა ნ.ნ.ბეკეტოვმა აღმოაჩინა XIX საუკუნის შუა ხანებში. პროცესი მალე გავრცელდა ალუმინთერმიული, მაგნიუმთერმიული და, ზოგადად, ლითონთერმიული პროცესების სახელით ცნობილ მეტალურგიულ ტექნოლოგიებში, რომელთა მიზანია სუფთა, უნახშირბადო ლითონების – ტიტანის, ნიობიუმის, ცირკონიუმის, ქრომის და სხვათა მიღება. ეს ტექნოლოგიები ითვალისწინებენ საწყისი კაზმის გახურებას, უპირატესად ელექტრორკალური წესით, მოითხოვენ დიდ ენერგოდანახარჯებს და ძვირადღირებული აპარატურის გამოყენებას.

თბური აფეთქებისაგან განსხვავებით **თმს** დროს პროცესი ლოკალიზებულია მიკრომოცულობაში, და სათანადოდ, რეაქციის კერაც ლოკალურია. სწორედ ეს გამოარჩევს **თმს** სხვა ტექნოლოგიებისაგან, რომელთაგან განსხვავებით **თმს** რეაქციის აღსაგზნებად მცირე ენერგიის მიწოდებაა საჭირო. ამითაა გამოწვეული **თმს** სისტემების თერმოქიმიური ანალიზის სპეციფიკაც. **თმს**-ით რეაქცია ინიცირდება მორეაგირე ელემენტების ფხვნილების დაწნეხილ ნარევში ლოკალურ სივრცეში გარედან მიწოდებული მცირე თბური იმპულსის შედეგად, მაგალითად, ვოლფრამის ძაფში ელექტროდენის გატარებით. „რეაქციის კერა“ წვის ტალღის სახით გადაადგილდება მთელ ნარევში. მისი გავრცელების სიჩქარე წამში ათი სანტიმეტრის რიგისაა, ხოლო ტემპერატურა 4000$^0$Ს აღწევს. სწორედ ამაში მდგომარეობს თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის უპირატესობა: ამ მეთოდით შესაძლებელია ძნელდნობადი ნაერთების სინთეზირება. ტრადიციული მეთოდებით მათი მიღება დაკავშირებულია დიდ ენერგოდანახარჯებთან და საჭიროებს რთული სახურებელი ტექნიკის გამოყენებას, ხოლო ბევრ შემთხვევაში პრინციპულად შეუძლებელია.

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის სიჩქარე და ტემპერატურა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათგან უმთავრესია მორეაგირე კომპონენტების თერმოდინამიკური პარამეტრები, მისაღები ნაერთის წარმოქმნის სითბო, რეაქციაში მონაწილე ელემენტების სითბოტევადობა, ფხვნილის დისპერსულობა, ნარევის სითბოგამტარობა, ბრიკეტის სიმკვრივე და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ადვილადაქროლადი მინარევების წვის ზონიდან განდევნას, რასაც ფილტრაცია ეწოდება. სწორედ ამ პროცესის ანალიზით იყო დაკავებული ფილტრაციის ცნობილი სპეციალისტი, წიგნის თანაავტორი ა. შტეინბერგი, რომლის მეცადინეობით ბევრ კითხვას გაეცა პასუხი.

გ. თავაძის ხელმძღვანელობით ფართო ფრონტით მიმდინარეობს გამოკვლევები **თმს** სფეროში. სინთეზირებულია სრულიად ახალი შენადნობები, ლითონური და კერამიკული ზეგამტარი მასალები, ბორის კარბიდი, ბორის ნიტრიდი, სილიციუმის კარბიდი, სალი შენადნობები ტიტანის კარბიდების, ტიტანის ბორიდებისა და ქრომის კარბიდების ფუძეზე და სხვა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გ. თავაძის მიერ **თმს**-ით მიღებული ახალი თაობის საჯავშნე კომპოზიციური მასალები. ფუნქციონალური მახასიათებლებით ისინი უტოლდებიან და ხშირად აღემატებიან საზღვარგარეთულ ანალოგებს და ამავე დროს გამოირჩევიან სიმსუბუქით და ეკონომიურობით. კომპოზიციური კერამიკული ელემენტებისაგან დამზადებულმა ჯავშანბლოკებმა წარმატებით გაიარა ტესტირება გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელსა და აშშ-ში.

და ბოლოს, მინდა, მოგახსენოთ, რომ ამჟამად ჩინეთის გუანჩჟოუს პროვინციის ფერადი ლითონების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გეგმავს თანამშრომლობას ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტთან **თმს** მეთოდით ახალი მასალების მიღების სფეროში. ცნობისათვის: ფერადი ლითონების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უშუალოდ ექვემდებარება გუანჩჟოუს პროვინციის სახალხო ხელისუფლებას, იგი აწარმოებს როგორც ფუნდამენტურ, ასევე ტექნოლოგიური ხასიათის კვლევებს და გააჩნია ამბიცია გახდეს მეცნიერული კვლევების ლიდერი ჩინეთში, ხოლო ზოგიერთი მიმართულებით მსოფლიოშიც. ინსტიტუტი აერთიანებს 1276 თანამშრომელს და გამოირჩევა მულტიდისციპლინარული კვლევებით. თავის არსებობის 40 წლის განმავლობაში ინსტიტუტმა შექმნა 100-ზე მეტი მაღალტექნოლოგიური პროდუქტი, რომელთა უმრავლესობა ექსპორტირებულია საზღვარგარეთ.

**ვუსურვოთ წარმატება ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს და მის თავკაცს, აკადემიკოს გიორგი თავაძეს საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობაში ჩვენი ქვეყნის სადიდებლად.**

**ირაკლი ჟორდანია,**
**აკადემიკოსი**

# საბავშვო ევროვიზიის საქართველოში ჩატარება ქვეყნის ეკონომიკისთვის ბევრ სარგებელს მოიტანს

**2017 წელს საბავშვო ევროვიზიის რიგით მე-15 კონკურსი საქართველოში ჩატარდება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესცენტრში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც პროექტის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებთან ერთად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა და ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ ისაუბრეს.**

როგორც პრეს-კონფერენციაზე ითქვა, საქართველოს პირველად მიეცა შესაძლებლობა, საბავშვო ევროვიზიის კონკურსი ჩვენს ქვეყანაში ჩატარდეს. მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს საქართველო საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული მესამედ გახდა და ევროფესტივალის გამარჯვებულ ქვეყნებს შორის რეკორდი დაამყარა, რადგან მსგავსი შედეგი ამ დრომდე არც ერთ ქვეყანას ჰქონია. 2016 წლის საბავშვო ევროფესტივალის რიგით მე-14 კონკურსზე საქართველოს წარმატება 239 ქულით მარიამ მამადაშვილმა მოუტანა. 2017 წლის საბავშვო ევროფესტივალის საქართველოში ჩატარების შესახებ შეთავაზება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირისგან მიიღო.

**„მნიშვნელოვანია, რომ ეს კონკურსი არის საერთაშორისო და საკმაოდ ბევრი ქვეყანა ღებულობს მონაწილეობას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონკურსის ტრანსლირება თითქმის 50 სხვადასხვა ქვეყანაში ხდება. სწორედ ეს არის ის ეკონომიკური სარგებელი, რასაც ჩვენი ქვეყანა ამ კონკურსის ჩატარებით მიიღებს. ძალიან პოზიტიურ ჭრილში ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის პოპულარიზაციას და ცნობადობის ამაღლებას. რაც თავისთავად საერთაშორისო ვიზიტორებზე და ტურისტების შემოდინებაზე აისახება. მინდა, აღვნიშნო, რომ ტურიზმი არის ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. ამ მხრივ 2016 წელს რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, რის მიხედვითაც 6.4 მლნ საერთაშორისო ვიზიტორს ვუმასპინძლეთ. ეს ნიშნავს უფრო მეტ სამუშაო ადგილს, მეტ შემოსავალს ჩვენს ოჯახებში და უფრო მეტ ბიზნესსაქმიანობას ქვეყანაში“ –** აღნიშნა ქეთევან ბოჭორიშვილმა.




ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით აღნიშნული პროექტი დამატებით ტურისტულ ნაკადს გააჩენს და ქვეყნის მიმართ ინტერესს გაზრდის.

საბავშვო ევროვიზია 2017-ის კონკრეტული დეტალები განიხილება და დაზუსტდება საქართველოში ევროპის მაუწყებელთა კავშირის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, რომელიც მიმდინარე წლის 22-24 თებერვალს გაიმართება.

# სიმართლის კვლევისა და შეფასების ახალი ჰორიზონტები

**ჩვენ წინაშეა წიგნი „დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი“, გამოცემული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2016 წელს. შეიძლება, ამთავითვე ვთქვათ, საქმე გამორჩეულ ნაშრომთან გვაქვს; გამორჩეულს იმით, რომ იგი ერის მოჭირნახულე მეცნიერის ღვწის ნაკლებად ცნობილ მხარეს ეხება – დიდი მამულიშვილის პოლიტიკურ საქმიანობას, ნაკლებადცნობილს არა თუ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტთა წრისთვისაც კი.**

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავალთ, რამდენიმე სიტყვა წიგნის ავტორის შესახებ. ისტორიის დოქტორი, პროფესორი **გიორგი ციციშვილი** საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ღრმა მცოდნე, ხელხვავიანი მკვლევარია, საბჭოთა ეპოქის ისტორიის კვლევის, მისი მართებული შეფასების, ასე ვიტყოდი, ამაგდარი. **მან, ერთ-ერთმა პირველმა, შეისწავლა საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის (სუკის) არქივი, მისი პუბლიკაციების წყალობით შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში უზარმაზარი დოკუმენტური მასალა, რომელიც საბჭოთა ისტორიის ფალსიფიცირებული, ოფიციალური ვერსიის საპირისპიროდ, სრულიად ახალ, სიმართლის, მეცნიერული პირუთვნელობის პოზიციიდან აშუქებს ჩვენი უახლესი წარსულის ამ ავბედით ხანას.** შესაშური პასუხისმგებლობითა და მეცნიერული ობიექტურობით გამოირჩევა გიორგი ციციშვილის სამეცნიერო პუბლიკაციები, გამომზევებულ დოკუმენტებზე თანდართული კვალიფიციური კომენტარები, თვისობრივად ახალი სიტყვა უახლესი ისტორიის მეცნიერული კვლევის და შეფასების საქმეში (საკმარისია, დავასახელოთ ბატონი გიორგის საგაზეთო პუბლიკაციების ციკლი **„დიდი ბოროტების სათავეებთან“,** თუნდაც, **„სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ“,** თბ., 2004 წ. და სხვ.).




საგანგებო აღნიშვნის ღირსია გ. ციციშვილის დამსახურება საისტორიო მეცნიერების წინაშე. **მისი დაუღალავი საარქივო კვლევა-ძიების შედეგად შემოგვრჩა უნიკალური საარქივო მასალა, რომელიც, სამწუხაროდ, 90-იანი წლების დასაწყისში სუკის არქივში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა. მოკლედ რომ შევაჯამოთ, მისმა შრომებმა სუკის ჯურღმულებში ჩამარხული სიმართლის კვლევისა და შეფასების ახალი ჰორიზონტები დაგვანახა, ახალი პერსპექტივები დასახა.**

მივუბრუნდეთ მთავარს.

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებით დაინტერესებულ მკითხველს უთუოდ ახსოვს სერგო ჯორბენაძის მონოგრაფია „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, გამოცემული 1984 წელს, სადაც მდიდარ საარქივო და სხვა სახის პირველწყაროებზე დაყრდნობით გაშუქებულია ივანე ჯავახიშვილის „მრავალღონიერი მოღვაწეობა“, როგორც **„ერთი პიროვნების დაუდგრომელი მეცნიერული, კულტურული და საზოგადოებრივი აქტიურობის სრულქმნილობის უმაღლესი ნიმუში“** (ს. ჯორბენაძე).

გიორგი ციციშვილის მონოგრაფია ავსებს პროვიდენციალი მამულიშვილის ბიოგრაფიულ ფურცლებს მისი პოლიტიკური ცხოვრების დეტალური, ამასთან კვალიფიციური აღწერით. ბატონმა გიორგიმ ამ თემას არაერთი პუბლიკაცია უძღვნა, პირველწყაროებზე დაყრდნობით გამოამზევა უცნობი დეტალები ივანე ჯავახიშვილისა და მის თანაგანმზრახ-თანამოსაგრეთა საქმიანობის შესახებ. **„პატივცემულმა მკვლევარმა პირველწყაროებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა უნივერსიტეტის „მემარჯვენე პროფესორთა“ ფრთის, საერთოდ, ეროვნული იდეებით გამსჭვალულ ინტელიგენციას. ამიტომ ჩეკას ხელისუფალნი მისი ფიზიკური განადგურების ფორმალურ საფუძველს ამზადებდნენ, მეცნიერი „ექვემდებარებოდა გარდაუვალ მოსპობას“.** 1938 წლის 29 სექტემბრის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით პარტიულმა ხელისუფლებამ მის მიმართ რადიკალურად შეცვალა პოზიცია. ივანე ჯავახიშვილი უკვე მოიაზრებოდა ე.წ. „პროფესორთა კომიტეტის“ მესვეურად, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ხელისუფლებასთან ინტელექტუალურ ძალთა სოლიდარობა. გ. ციციშვილის შემოთავაზებული დასკვნები, აქ ჩვენს მიერ მოკლედ ფორმირებული, ქართული ისტორიოგრაფიის სათანადო პირველწყაროებით გამაგრებულ და არგუმენტირებულ ახალ სიტყვას წარმოადგენდა. ახალ მონოგრაფიაში ეს დებულებანი გავრცობილი და გამყარებულია ახალი საარქივო დოკუმენტებით.

ავტორი განსაკუთრებულ აქცენტს 1937-38 წლების პოლიტიკურ ვითარებაზე აკეთებს, როცა **„ბერიამ... უშიშროების ორგანოების მუშაკებმა... 1938 წლის გაზაფხულ-ზაფხულში თავი მოუყარეს ქართველი ინტელიგენციის გამოხშირვა-მოსპობისათვის შეთითხნილ „მამხილებელ წყაროებს“, ხოლო შემოდგომაზე უკვე „გამოავლინეს“ ივანე ჯავახიშვილის იდეურ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობით მებრძოლი, უნივერსიტეტთან თავმოყრილი, არალეგალური, კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-ტერორისტული და მავნებლურ-ფაშისტური 121-კაციანი ორგანიზაცია“.** ადვილი წარმოსადგენია რა საფრთხე ელოდა ქართველი ინტელიგენციის უალტერნატივო ლიდერს, რომლის შემოქმედებითმა ცხოვრებამ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან დაიმსახურა „მომაკვდინებელი ზოგადი შეფასება – ფაშიზმი“. ასეთი შეფასებისათვის ჩეკა ათეულობით „დოკუმენტს“, როგორც მკვლევარი ამბობს, „ახლაფორთებდა“. წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი ღირსება ისიც გახლავთ, რომ ავტორი დოკუმენტური მასალის სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე ნათელს ხდის საქჩეკას ხელმძღვანელი პირების მიერ „ბრალდებულ“ პირთაგან აღიარება-ჩვენებების მოპოვების ბინძურ მეთოდებს,

1937-1938 წლებმა შეიწირა ათეულობით ცნობილი, მაღალზნეობრივი და მაღალინტელექტუალი ადამიანის, ე. წ. „ამღიარებელთა“ სიცოცხლე. ივანე ჯავახიშვილი გარდაუვალი სიკვდილისაგან იხსნა არა ვისამე გულმოწყალებამ, მეცნიერული, თუ მამულიშვილური მოტივით დანდობამ, არამედ, როგორც ბატონი გიორგი საგანგებოდ აღნიშნავს, **რადიკალურად შეცვლილმა საბჭოთა საერთაშორისო პოლიტიკამ. ჰიტლერულ გერმანიასთან ბოლშევიკი ბელადების დაახლოებამ და დამეგობრებამ 1838 წელს – გამორიცხა ადრეულ წლებში დაწყებული წმენდის („ჩისტკა“) გაგრძელება ფაშისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით.**

გიორგი ციციშვილის თვალსაზრისით, ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ-პატრიოტული ნაწილის ლეგალურ-კომპრომისული საქმიანობა, მისი ეროვნული შინაარსის გამო, მართალია, ბოლშევიკურ-ტოტალიტალური რეჟიმის მიერ ანტისაბჭოთა ქმედებად კვალიფიცირდებოდა, მაგრამ იგი ეროვნულ მოღვაწეთა გადარჩენის გარკვეულ შანსებს იძლეოდა. ამიტომაც ეს გზა გაცილებით სარგებლიანი აღმოჩნდა ეროვნული საქმიანობისთვის, ვიდრე არალეგალურ-ექსტრემისტული თავგანწირვა. ამ გზამ, ავტორის საბოლოო დასკვნით, პრაქტიკულად **„უზრუნველყო ერის შემდგომი, განმათავისუფლებელი ისტორიული ბრძოლის წარმატება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, დემოკრატიული ცხოვრების წესისა და ერის ღირსეული ცხოვრების დამკვიდრებისათვის იმედის შექმნა და ამ იმედის რეალიზაციისათვის ბრძოლა“.**

საგაზეთო პუბლიკაცია ამ მეტად საყურადღებო ნაშრომის ყოველმხრივი შეფასებისა და სათანადო საშუალებას არ იძლევა. საკმარისია ვთქვათ, რომ ბატონი გიორგი თავის მონოგრაფიაში ნათელს ჰფენს საქართველოს ისტორიის ბნელი ლაქებით მოცულ ეპოქას, სპეციალისტების თუ მთელი საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობს საკითხებს, რომელთა ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაფუძნებული, ახლებური ინტერპრეტაცია, საშური და საჭირო საქმეა.

**ირმა ტალახაძე**

# ეროვნული გმირის ცხოვრების მატიანე

*„როცა სამშობლოსთვის კვდები, სამშობლო არ კვდება“!..*




**„წიგნებს ადამიანები წერენ, მაგრამ თუ იგი ადამიანზე იწერება, განსაკუთრებულ მოვლენათა აღწერასთან გვაქვს საქმე“** – ეს სიტყვები ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ბატონმა ალექსანდრე ჯიბლაძემ თავის ერთ თბილ წერილში ჩაწერა, რომელიც ასე დაასათაურა **„სათქმელს ბოლომდე მაინც ვერ იტყვი...“** მართალია, მოკრძალებულად ბრძანა – სათქმელს ვერ იტყვი ბოლომდეო, მაგრამ ვისაც ახლახან „გამომცემლობა აჭარის“ მიერ შესანიშნავად გამოცემული წიგნის **„მამულისათვის თავდადებულის“ გადაკითხვის ბედნიერება ხვდა წილად, დამერწმუნება, რომ გულით ნათქვამი სიტყვები, წერილები, უშესანიშნავესი ლექსები, მოგონებები** მართლაც სრულყოფილად წარმოგვიდგენს იმ დიდი ადამიანის ცხოვრებას, მოღვაწეობასა და სამსხვერპლოზე მიტანილი სიცოცხლით ცადამაღლებისა და გმირობის ამბავს, როგორიც **ჟიული შარტავა** იყო. რაც შეეხება სათქმელის ბოლომდე ვერთქმას, ალბათ, ბატონმა ალექსანდრემ მართლაც სწორად აღნიშნა – ამგვარ ადამიანებზე, როგორიც საქართველოს ეროვნული გმირი გახლდათ, სათქმელი მომავალმა თაობებმა უნდა თქვან, მისმა თანამედროვეებმა კი იმგვარად უნდა დავუტოვოთ გმირის სახე, როგორც ამ მშვენიერ წიგნშია წარმოჩენილი – სიმართლე, სიმართლე და ტკივილიანი მოგონებები.

ამ წიგნის ხილვისა და გადაკითხვის საშუალება ბატონმა **ნუგზარ ნადარაიამ** მომცა, „პირველმა ცოტნეიდელმა“, რომელმაც მართლაც ჩვეული სიყვარულით მოიტანა რედაქციაში და თან დაამატა – „ხედავთ რამხელა საშვილიშვილო, მამულიშვილური საქმე გააკეთეს ჩვენმა აჭარელმა ძმებმა, რომ დიდი ჟიულის სახელზე ამგვარი შესანიშნავი წიგნი გამოსცეს. თქვენ არ იცით როგორ ეფერებიან ეროვნული გმირის სახელს, როგორ პატივს სცემენ. ეს წიგნი ზღვაში წვეთია იმ საქმეებთან შედარებით, რასაც პროგრამა „ქართულ-აფხაზური საგას“ ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნათელა დუმბაძე** და მის გვერდში მდგომი თანამოაზრეები აკეთებენო“.


ჟიული შარტავას სახელობის გამზირი ბათუმში

გადავიკითხე ეს შესანიშნავი წიგნი – ძეგლი ეროვნული გმირის სადიდებელი და დავრწმუნდი, როგორ უყვარს, ახსოვს და ეფერება ჟიული შარტავას სახელს ყველა ქართველი. საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის, აჭარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გმირის სახელი მათთვის დაუვიწყარი და სამაგალითოა. ყოველივე ამას წიგნიდან ვგებულობ. აი, რამდენიმე მაგალითი – **ჟიული შარტავას სახელთან დაკავშირებული ყოველი მოვლენა ბათუმელთათვის მეტად ღირსსახსოვარი და ყურადსაღებია. საქართველოს საოკეანეო-სანაოსნო კომპანიის დაკვეთით, სამხრეთ კორეაში აგებულ ტანკერს ჟიული შარტავას სახელი ეწოდა. მისი პირველი კაპიტანიც ბათუმელი თემურ კონცელიძე გახლდათ. ბათუმში გაიხსნა ჟიული შარტავას სახელობის გამზირი, გაიხსნა გმირის მემორიალი, დაიდგმება ჟიული შარტავას მონუმენტი, რომელიც შესრულებულია გიორგი შხვაცაბაიას მიერ.**

ბათუმის ხელოვნების ცენტრში ჩატარდა ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული საღამო. ეს შესანიშნავი წიგნიც ბათუმელთა ინიციატივითა და სიყვარულით გამოიცა.

ოთხასგვერდიან, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ კრებულში თავმოყრილია ეროვნული გმირის მეგობართა, თანამედროვეთა და პატივისმიმგებთა შესანიშნავი წერილები, მოგონებები, ქართველ პოეტთა ლექსები და უნიკალური ფოტოები არქივიდან, ასევე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მცირე ამონარიდები ჟიული შარტავასადმი მიძღვნილი წერილებიდან.

წიგნი ბათუმის მერიის მხარდაჭერითა და თანადგომით დაიბეჭდა.

**ავთანდილ ბექაური**

# რას აჭრამპებს ტრამპი?!

**ამერიკის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ჯეი ტრამპი ნამდვილად არ ხუმრობს. „აღარ ხუმრობსო“, ვერ ვიტყვით, რადგან როგორც აღმოჩნდა, არც წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ხუმრობდა“:**

განსხვავებით სხვა პოლიტიკოსებისგან, რომლებიც ჰპირდებიან ამომრჩეველს და არ ასრულებენ, ან, კიდევ უარესი, არც ცდილობენ დანაპირების შესრულებას, ტრამპს, როგორც დადასტურდა (დადასტურდა მათთვის, ვისაც არ სჯეროდა და მისი ფენომენი ვერ ამოიცნო) სულაც არ მიაჩნია, რომ „პოლიტიკოსის საქმიანობა არის დაპირება და შემდეგ იმის ახსნა, თუ რატომ ვერ შეძლო მან ამ დაპირების შესრულება“.

ინაუგურაციიდან ორიოდე საათში, ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა რამდენიმე ისტორიულ ბრძანებულებას და გააკეთა განაცხადი ღრმა რეფორმის შესახებ სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებით: ჯანდაცვიდან — ეკოლოგიამდე.

პირველ ყოვლისა, მან აკრძალა (უფრო ზუსტად, 120 დღით შეაჩერა) ემიგრაცია 7 მაჰმადიანური ქვეყნიდან. მათ შორისაა ერაყი, სირია, ირანი, სუდანი, ლიბია, სომალი და იემენი.

ტრამპის აზრით, ამ ქვეყნებში (და ამ ქვეყნებიდან) განსაკუთრებით დიდია ტერორიზმის საფრთხე. სიაში ვერ მოხვდა, მაგალითად, საუდის არაბეთი, მიუხედავად იმისა, რომ 19 ფანატიკოსიდან, ვინც 2001 წლის 11 სექტემბრის „ათასწლეულის ტერაქტი“ მოაწყო ნიუ იორკსა და ვაშინგტონში, 15 სწორედ საუდის არაბეთის მოქალაქე იყო! არც ერთი ირანელი მათ შორის არ ყოფილა.

თუმცა, ხსენებული ბრძანებულებით ტრამპი, როგორც ამერიკელები ამბობენ „მკაფიო მესიჯს“ უგზავნის მუსლიმურ სამყაროს არადეკლამირებული, თუმცა ნაგულისხმევი სლოგანებით: „ისჯება ის, ვინც სათანადოდ არ თანამშრომლობს ან ვერ თანამშრომლობს (!) ამ საკითხში ამერიკასთან“ და „ყველა მუსლიმი არ არის ტერორისტი, მაგრამ ამ საშინელების შემოქმედი ყველა ტერორისტი მუსლიმია“.

ეს ფორმულა იმეორებს გენიალური ებრაელი (პოლიტკორექტულად თუ ვიტყვით „ისრაელელი“) მედია-ტექნოლოგების ცნობილ PR-მიგნებას, რომელსაც ძალიან ძნელია, შეედავო რადიკალურად პოლიტკორექტული პოზიციებიდანაც კი: **„ყველა არაბი, ვინც ისრაელში ტერაქტებს აწყობს, არ არის ტერორისტი, თუმცა ყველა ტერორისტი, ვინც ამას ჩადის — არაბია!“**

ფაქტია? ფაქტია! ფაქტი კი, როგორც ბულგაკოვისეული ვოლანდი ამბობდა „ძალიან ჯიუტი რამაა“.

* * *

**ბუნებრივია, ტრამპის ბრძანებულებას ლიბერალური საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. „ტრამპის მხარდამჭერი ამერიკელი ლიბერალი“ იგივეა, რაც „ხის რკინა“. ამიტომ არც რობერტ დე ნიროს „სფიჩია“ გასაკვირი და არც მადონას დედის გინება მიტინგზე — თეთრი სახლის აფეთქების მოთხოვნით.**

მათი არგუმენტიც გასაგებია და ბუნებრივი: ამერიკა ემიგრანტების ქვეყანაა! განა ამას არ გამოხატავს Miss Liberty — თავისუფლების ჩირაღდნით ხელში რომ ეგებება ემიგრანტებს მანჰეტენის სრუტესთან? ამაზე ტრამპი პასუხობს, რომ საეჭვოა ხსენებულ ქალბატონს იმ ჩირაღდნით „ტყუპი ცათამბჯენების“ დამანგრეველთათვის გაენათებინა გზა.

ოღონდ ამ ისტორიაში ყველაზე ნიშანდობლივი მაინც ისაა, რომ ამერიკის პრეზიდენტის ეს „მგრგვინავი“ ბრძანებულება, რომელმაც უამრავი პრობლემა შექმნა მთელ მსოფლიოში (რაკი ავიაკომპანიები უარს აცხადებდნენ ამერიკული ვიზის მქონე მოქალაქეების თვითმფრინავში შეშვებაზეც კი) ნიუ იორკის „რაიონულმა სასამართლომ“, ადგა და... გააუქმა!



**მაგრამ ტრამპი ბიზნესმენია. ეს არავის დაავიწყდეს: მან უმალ შეახსენა მექსიკელებს, რომ სავაჭრო დეფიციტი ამერიკასა და მექსიკას შორის 60 მილიარდი დოლარია — მექსიკის სასარგებლოდ. მაშასადამე, საკმარისია ამერიკამ თუნდაც 1 წლით დააწესოს საბაჟო გადასახადი მექსიკურ საქონელზე და საჭირო თანხა იოლად მოგროვდება.**

რა იღონოს საპასუხოდ ტრამპმა? მოსამართლე ქალბატონის ბიზნესმენ ქმარს „საგადასახადო“ მიუგზავნოს, როგორც „ზოგიერთი“ სხვა ქვეყნის ხელისუფლება მოიქცეოდა? რა თქმა უნდა, არა: ამერიკული დემოკრატია ნებისმიერ პრეზიდენტზე ძლიერია. მაგრამ ტრამპმა ნამდვილად სცადა და ნაწილობრივ შეასრულა კიდეც დაპირება, ხოლო თუ მისი ბრძანებულება კონგრესში კანონად იქცევა, მაშინ „რაიონული სასამართლოც“ ვერაფერს შეძლებს.

მეორე არსებითი გადაწყვეტილებაა მექსიკის საზღვარზე კედლის აშენება. ამ საზღვრის სიგრძე 3000 კილომეტრია. მესამედი უკვე დაცულია სხვადასხვა სახის ზღუდეებით, მათ შორის, მავთულხლართით; მაგრამ სრულფასოვანი კედლის აგებას ათეულობით მილიარდი დოლარი დასჭირდება. საარჩევნო კამპანიისას ტრამპი ამერიკელებს ჰპირდებოდა, რომ კედლის საფასურს მექსიკას გადაახდევინებდა. მექსიკის პრეზიდენტმა ამაყად უპასუხა: „არაფერსაც არ გადავიხდითო“ და ამერიკაში ვიზიტი გააუქმა.

მაგრამ ტრამპი ბიზნესმენია. ეს არავის დაავიწყდეს: მან უმალ შეახსენა მექსიკელებს, რომ სავაჭრო დეფიციტი ამერიკასა და მექსიკას შორის 60 მილიარდი დოლარია — მექსიკის სასარგებლოდ. მაშასადამე, საკმარისია ამერიკამ თუნდაც 1 წლით დააწესოს საბაჟო გადასახადი მექსიკურ საქონელზე და საჭირო თანხა იოლად მოგროვდება.

რას მოიმოქმედებს მექსიკა? ვერც ვერაფერს. „კედლის“ საბაჟო გადასახადი ხომ დროებითი იქნება, ხოლო ამერიკასთან სავაჭრო ურთიერთობის ტოტალურ გაწყვეტაზე, ესე იგი საპასუხო ზომებზე მეხიკო ვერ წავა — სრული ეკონომიკური კატასტროფის შიშით.

გამოდის, დონალდ ჯეი ტრამპი არც ამაში ხუმრობს!

* * *

**მესამე: ტრამპმა შეწყვიტა „ობამაქეარის“, ანუ (ჩვენებურად თუ ვიტყვით) „საყოველთაო ჯანდაცვის“ დაფინანსება, ვინაიდან ამ პროგრამამ ჯანდაცვაზე ღარიბი ფენების წვდომა კი გაზარდა, თუმცა გააუარესა მილიონობით პროფესიონალი ექიმის მდგომარეობა და შელახა ჯანდაცვის ხარისხი.**

ტრამპი აქ მოქმედებს იმ ფილოსოფიის შესაბამისად, რომელმაც შექმნა ამერიკული ცივილიზაცია: ყოველი ადამიანი თავისუფალია, მაგრამ თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობასაც: „ჯანმრთელობაზე გადასახადი“ დაუშვებელია, თუ დასაქმებულ ადამიანს თავად არ სურს დაეზღვიოს. ეს ბრძანებულება საშუალო კლასის ინტერესებზეა გათვლილი, ანუ ზუსტად იმ სოციალური ფენისა, ვინც მოიყვანა ტრამპი ხელისუფლების სათავეში.

მეოთხე: ტრამპმა გააუქმა ყოველგვარი შეზღუდვა კანადა-ამერიკის დამაკავშირებელი ორი დიდი ნავთობსადენის მშენებლობაზე, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტმა ობამამ დაბლოკა „გაზპრომთან“ ფარულად დასაკავშირებული ეკოლოგიური ორგანიზაციების მოთხოვნით.

„ფიქალის გაზის“ მოპოვებასაც აკრძალავდნენ, მაგრამ ეს არ გაუვიდათ.

გარდა ამისა, ტრამპი ათავისუფლებს საოკეანო შელფზე ნავთობის მოპოვებას — ესეც სერიოზული დარტყმაა „გაზპრომისთვის“, რაკი ნავთობზე ფასების კლებას გამოიწვევს.

* * *

**ამ „ხმაურიან ბრძანებულებებთან“ შედარებით, თითქოს, „წყნარი ოკეანის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებიდან“ გამოსვლა არც ისე მნიშვნელოვანი ჩანს. ბოლოს და ბოლოს, არსებობს WTO და ის არეგულირებს საერთაშორისო სავაჭრო წესრიგს. მაგრამ ბევრი დამკვირვებელი ტრამპის ამ გადაწყვეტილებაში ხედავს პირველ სიმპტომს იმ წეს-წყობილების სრული დანგრევისა, რასაც დღემდე ეფუძნებოდა მსოფლიო ვაჭრობა:**

TTIP-დან გამოსვლისთანავე, ტრამპმა „თეთრ სახლში“ ბრიტანეთის პრემიერი ტერეზა მეი მიიღო და განაცხადა, რომ აშშ ბრიტანეთთან განსაკუთრებულ სავაჭრო შეთანხმებას გააფორმებს. ამერიკულ-ბრიტანული სავაჭრო პაქტი, შესაძლოა, იქცეს წინაპირობად გლობალური ვაჭრობის ახალი მოდელისა, როდესაც თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ თანასწორთა შორის: ჩინეთის ადგილი იქ ნამდვილად არ არის, რადგან ტრამპს არაერთგზის უთქვამს: ელემენტარული ცრუპენტელობაა „თანასწორუფლებიანი კონკურენცია“ ამერიკასა და ჩინეთს შორის, როდესაც ჩინეთში არც პროფკავშირი არსებობს, არც პლურალისტური დემოკრატია, არც დამოუკიდებელი სასამართლო, ხოლო ვალუტის კურსს იქაური კომპარტიის პრეზიდიუმი ადგენს თავისი დადგენილებით.

აქ ის კი არ იგულისხმება, რომ ჩინეთში (თუ ჩინელებს აწყობთ) „ეფლის“ ქარხნები არ აშენდეს, მათ ჩინეთის ბიუჯეტში გადასახადები არ გადაიხადონ და პროდუქცია, ვთქვათ, მალაიზიაში ან რუსეთში არ გაიტანონ: ტრამპი იქ წარმოებული პროდუქციის ამერიკულ ბაზარზე (!) შეტანას დაბეგრავს, რათა შანსები „გაათანაბროს“. ამერიკაში წარმოებულ „ეფლზე“ ფასის გარდაუვალ ზრდას კი გადასახადების შემცირებით დააბალანსებს.

აქ მხოლოდ ჩინეთზე როდია საუბარი: იგივე ეხება დემოკრატიულ იაპონიასაც, რადგან იაპონიაში (მაგალითად) შვებულება წელიწადში 5 დღეა, ხოლო ამერიკაში— 30. იაპონურ პროფკავშირთა უფლებები და პრაქტიკა კი ვერ შეედრება ამერიკულს!

**ტრამპი (ვიმეორებ) ბიზნესმენია, ეს ყოველივე თავად აქვს „ნაწვნევი“, ამიტომ აქაც სრულ თანასწორობას მოითხოვს და თუ ეს მართლა მოახერხა, ესე იგი WTO-სა და „ბრეტონ-ვუდსის“ ალტერნატიული სისტემა შექმნა, მაშინ ყველაზე დიდ რეფორმატორად შევა ამერიკის ისტორიაში ფრანკლინ რუზველტისა და რონალდ რეიგანის შემდეგ.**

**ნიკა იმნაიშვილი**

ექსპორტ-იმპორტის მოციმციმე „კარდიოგრამა“

# საქართველოს საგარეო ვაჭრობის არასახარბიელო ტენდენციები

(მეხუთე გვერდიდან)

**საქსტატის მონაცემების მიხედვით, დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წელს 2 მილიარდ 721 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3 პროცენტით ნაკლებია, 2015 წელთან შედარებით. აქედან ექსპორტი 739 მლნ. აშშ დოლარია,12 პროცენტით ნაკლები, ხოლო იმპორტი 1 მილიარდ 983 მლნ. აშშ დოლარი იყო, 1 პროცენტით მეტი.**

**საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 23 პროცენტია. მათ შორის, ექსპორტში — 35 პროცენტი და იმპორტში — 20 პროცენტი (2015 წელს, შესაბამისად, 28, 38 და 25 პროცენტი).**

**2016 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან კანადა, დაახლოებით, 1,8 მილიარდი აშშ დოლარის ბრუნვით, რაც კვლავ C ჰეპატიტის მედიკამენტების დამსახურებაა, შემდეგ მოდის თურქეთი და რუსეთი.**

**რაც შეეხება მთავარ საექსპორტო და საიმპორტო საქონელს, 2016 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა და 312 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 15 პროცენტი შეადგინა.**

თხილის ექსპორტი 179 მლნ. აშშ დოლარს და, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე ფეროშენადნობების ჯგუფი იყო. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 169 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8 პროცენტი შეადგინა. ამ მონაცემების საფუძველზე „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ პრეზიდენტი ირაკლი მაკალათია მიიჩნევს, რომ საქართველოს წარმოება ვერ ახერხებს საექსპორტო პოტენციალის გამოყენებას: **„ვერ ვითვისებთ ბაზრებს, იმიტომ რომ ვერ ვთავაზობთ მაღალ ხარისხს და მეორე მიზეზია ის, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვერ ვითარდება იმ დონემდე, რომ მან საჭირო პროდუქცია აწარმოოს“.**

ისევე როგორც ირაკლი მაკალათია, ეკონომიკის ბევრი სხვა ექსპერტი მიიჩნევს, რომ საექსპორტო პოტენციალის გამოყენებისა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდისთვის საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა. ეკონომისტების აზრით, მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს არა რომელიმე კონკრეტული სფეროს ან საწარმოს სუბსიდირება, არამედ, ზოგადად, ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება.

**კახა მჭედლიძე**

ფიგურული ციგურაობა

# რუსი კომენტატორები კი მოხიბლა




**ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში გამართულ მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა 21 წლის ქართველმა სპორტსმენმა მორის ყვითელაშვილმა (მწვრთნელი ეთერ თუთბერიძე). სხვადასხვა ქვეყნის 36 წარმომადგენელს შორის მან 238,20 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა და ამით 2018 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს ორი საგზური მოუტანა.**

თავისუფალ პროგრამაში მორისმა მე-4 ადგილი დაიკავა, ხოლო მისი ტექნიკური შეფასება ევროპის ჩემპიონ ხავიერ ფერნანდესის შემდეგ მეორე აღმოჩნდა. ყვითელაშვილის გამოსვლით აღფრთოვანებული დარჩნენ რუსი კომენტატორები – რთული ელემენტების ასეთი კასკადით მას ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკზე ასვლაც შეუძლიაო.

მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამით ჩემპიონატზე პირველი-მეექვსე ადგილები ასე განაწილდა: 1. ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი) - 294,84 ქულა, 2. მაქსიმ კოვტუნი (რუსეთი, 266,80), 3. მიხაილ კოლიადა (რუსეთი, 250,18), 4. იორიკ ჰენდრიქსი (გერმანია, 242,56), 5. ალექსეი ბიჩენკო (ისრაელი, 239,24), 6. მორის ყვითელაშვილი (საქართველო, 238,20).

**ნინო ცოტაძე**

ჭადრაკი

# ლუკა პაიჭაძე საქართველოს ჩემპიონია

**10 შესაძლებლობიდან 5.5 ქულა - ასეთი შედეგით დაასრულა ასპარეზობა მოჭადრაკე ვაჟთა 76-ე ეროვნულ ჩემპიონატში (საპრიზო ფონდი 20.500 ლარი) ლუკა პაიჭაძემ, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. შეჯიბრებაში სხვადასხვა კუთხის 10 წარმომადგენელი იბრძოდა მედლებისთვის წრიული სისტემით. ოთხი ტურის შემდეგ ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა დიდოსტატი კონსტანტინე შანავა.**


ლუკა პაიჭაძე

**5.5 ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მეორე ადგილი საქართველოს აწ უკვე ექს-ჩემპიონმა დავით ჯოჯუამ დაიკავა და მას ვერცხლის მედალი ერგო. 4.5 ქულით ბრინჯაოს მედალი მიხეილ მჭედლიშვილმა დაიმსახურა.**

საქართველოს 76-ე ეროვნული ჩემპიონატის საბოლოო შედეგები კი ასეთია: 1. ლუკა პაიჭაძე (5.5), 2. დავით ჯოჯუა (5.5), 3. მიხეილ მჭედლიშვილი (4.5), 4. თორნიკე სანიკიძე (4), 5. გიგა ყუფარაძე (3.5), 6. დავით არუთინიანი (3.5), 7. ირაკლი ბერაძე (3.5), 8. მერაბ გაგუნაშვილი (3), 9. ლევან ფანცულაია (3), 10. კონსტანტინე შანავა (0 ქულა).

**თამაზ პატარიძე**

ვაჟა დანელიას ფოტო.

# განახლებული რეიტინგებით

**იანვრის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა რეიტინგები განაახლა. ქალებში 2651 პუნქტით ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი მეწინავეობს. ათეულში შემდეგ მოდიან ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2583), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2558), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2557), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2549), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2546), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2539), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2538), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), ნანა ძაგნიძე (2525). ქართველთაგან ასეულში, ასევე, არიან: 15. ნინო ბაციაშვილი (2492), 26. ლელა ჯავახიშვილი (2455), 42. ბელა ხოტენაშვილი (2430), 67. სალომე მელია (2394), 80. მერი არაბიძე (2383), 83. ნინო ხურციძე (2383), 99. სოფიკო ხუხაშვილი (2368).**

ვაჟთა ათეული ასეთია: ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (2838). ფაბიანო კარუანა (აშშ, 2822), ვესლი სო (აშშ, 2822), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2811), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2796), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2786), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2785), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2785), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2783), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2769). ვაჟთა ასეულში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გვყავს – ბაადურ ჯობავა, რომელიც 2701 პუნქტით 43-ე საფეხურზეა.

**გივი გაგუა**

სამთო თხილამურები

# დიდველის ტრასაზე

**ბაკურიანში სამთო მოთხილამურეთა 2016-2017 წლების საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი გაიმართა. გიგანტურ სლალომში**



**(სტარტის სიმაღლე - 2300 მ, ტრასის სიგრძე - 800 მ, კარების რაოდენობა - 37) ქვეყნის 48 მოთხილამურე მონაწილეობდა. საპრიზო ადგილები გოგონებსა და ვაჟებს შორის სამ ასაკში გათამაშდა. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

**გოგონები**

**2003-2004 წლებში დაბადებულნი.** 1. მარი ჩოგაძე (აჭარა, 1.22,22); **2001-2002 წლებში დაბადებულნი.** 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1.53,50), 2. მაგატა ჯაფარიძე (სვანეთი, 2.01,95), 3. ანა მაზმიშვილი (ბაკურიანი, 2.13,20); **2000 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.47,12), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 1.51,68), 3. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 1.51,75).

**ვაჟები**

**2003-2004 წ.წ.** 1. ირაკლი არღვლიანი (სვანეთი, 57,66), 2. სანდრო ჩინჩალაძე (ბაკურიანი, 58,91), 3. ლუკა ჯაფარიძე (სვანეთი, 59,36); **2001-2002 წ.წ.** 1. ლევან გოგიშვილი (ბაკურიანი, 1.46,52), 2. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 1.47,55), 3. გიორგი აბრამაშვილი (ბაკურიანი, 1.50,39); **2000 წ. და უფრო ადრე.** 1. გოგა ოგბაიძე (გუდაური, 1.45,51), 2. გიორგი ქურდოღლიანი (ბაკურიანი, 1.46,80), 3. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.47,70).

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი

# ჯორჯი დასაჯეს



**მსოფლიოს ნომერ 74-ე ნომერი, იტალიელი კამილა ჯორჯი თავისივე ქვეყნის საჩოგბურთო ფედერაციამ 30 000 ევროთი დააჯარიმა და ნაკრებში თამაში ცხრა თვით აუკრძალა. ამის მიზეზი წინა წელს კამილას მიერ ნაკრებში ესპანეთის წინააღმდეგ თამაშზე უარი გახდა, რაც ფედერაციამ არ აპატია.**

ჯორჯის კარიერაში ერთი WTA-ის ტურნირი აქვს მოგებული, ფედერაციის თასზე კი იტალიელს მოგება-წაგების ბალანსი 2-4 აქვს.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# იანვარი შერმადინის თვეა




**საქართველოს საკალათბურთო ნაკრებისა და „მორაბანკ ანდორას“ ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი ესპანეთის ჩემპიონატის ლიგა ენდესას იანვრის თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. აღნიშნული წოდება გიორგის პირენეელთა საკალათბურთო ჩემპიონატის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა მიანიჭა.**

იანვარში შერმადინი თამაშში საშუალოდ 18 ქულასა და 9 მოხსნას აგროვებდა, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტი 27.8 ჰქონდა.

2017 წლის პირველ თვეში ქართველმა ცენტრმა ლიგა ენდესაში 4 შეხვედრა ჩაატარა – მადრიდის „რეალთან“ 35 წუთში 21 ქულა, 15 მოხსნა და 1 ჩაჭრა დააგროვა. შემდეგ იყო „ბეტისთან“ შეხვედრა, რომელშიც შერმადინმა 26 წუთში 22 ქულა, 11 მოხსნა და 1 პასი გააკეთა. ამას მოჰყვა გამარჯვება „გრან კანარიასთან“ – გიორგიმ 24 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი შესძინა გუნდს, ხოლო იანვრის თვე „ხუვენტუდთან“ მარცხით დასრულდა, სადაც ქართველი ისეთი შთამბეჭდავი ველარ იყო, თუმცა, თანაგუნდელებს შორის მაინც საუკეთესო გახლდათ: 23 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება.

გიორგი შერმადინი იანვარში ერთხელ ტურის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს, ხოლო „რეალთან“ მატჩისას იგივეს მიღწევამდე ძალზე მცირედი დააკლდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ლუსიანას მშობლიური კერია უხმობს

**წლებთან კონტად და თავდაუზოგავად მებრძოლი არგენტინელი მოდელი ლუსიანა სალასარი მრავალი ცნობილი არგენტინელი ათლეტის გულის სწორი ყოფილა და სპორტის წყალობით არაერთ კუნთმაგარ ჯეელს აძახებინა თავის დროზე საწოლში „ოლე“ და „ვამოს არხენტინა“.**



გამოხდა ხანი და ახლა ლუსიანა იძახის, რაკი რომის წმინდა ტაძარში ჩვენებური პაპი ზის, ძალიან მინდა პაპს ვეახლო და ჩემი სათქმელი პირისპირ ვუთხრაო. ლუსიანა რას იზამს და როგორ იზამს, აბა, ეს ჩვენ რა ვიცით, მაგრამ ნამეტნავად საინტერესო სანახავი კი იქნება რომში მოსალოცად ჩასული ეს ქალბატონი.

ისე, მთელი ამ ამბის მარილი ალბათ მაინც ისაა, რომ რომის პაპიცა და ლუსიანა სალასარიც ერთ არგენტინულ კლუბს – „სან ლორენცოს“ ქომაგობენ და როგორც ცნობილია, „სან ლორენცოს“ ფანები ძირითადად იტალიური წარმოშობის არგენტინელები არიან. ჰოდა, რა იცით, იქნებ ლუსიანას ძველი კერიაც უხმობს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

# ევროპის ერთადერთი ქვეყანა სავალდებულო დაზღვევის გარეშე!..

## რატომ ვერ აფასებს დღემდე ხელისუფლება დაზღვევის როლს სწორად?

**დაზღვევა - ეს არის მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი. თუმცა, ეს არც მოქმედ და არც ყოფილ ხელისუფლებას გააზრებული არა აქვს, მეტიც, ვერც ერთი მათგანი დაზღვევის როლს სწორად ვერ აფასებს საზოგადოების დაცვის თვალსაზრისით. იმ დროს კი, როდესაც ქვეყანაში სტიქიური უბედურება ხდება, ან ხანძარია, დაზარალებული მოქალაქეები ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით აქციებს გამგეობების შენობების წინ ან მთავრობის ადმინისტრაციასთან მართავენ. ასეთი შემთხვევები თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. საქართველო კი არის, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანა, სადაც სავალდებულო დაზღვევის არც ერთი სახეობა არ მოქმედებს და ამას ყურადღებას არც ხელისუფლება აქცევს. ქონების სავალდებულო დაზღვევაზე საუბარი მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც სტიქია ან ხანძარი ხდება. გადის პერიოდი და დაზღვევის თემა ისევ ყველას ავიწყდება.**

**კარგია, რომ „ბავშვთა სამყაროს“ შენობა დაზღვეული იყო, მაგრამ ცუდია, რომ ხალხს არ ჰქონდა დაზღვევა და ახლა ისინი სრულიად გაურკვეველ ვითარებაში არიან. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც დიდი რისკი აქვს სტიქიური უბედურებების, მათ შორის, მიწისძვრის და ამიტომ დაზღვევის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს დღის წესრიგში.**



ასე იყო 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის დროს. მაშინ საუბრობდნენ სავალდებულო დაზღვევის პრინციპის ამოქმედებაზე, თუმცა ეს მხოლოდ ცალკეულ განცხადებებად დარჩა. რამდენიმე თვის შემდეგ სავალდებულო დაზღვევის ამოქმედება ხელისუფლებაში არავის გახსენებია. არადა, იმ პერიოდში სვანიძის ქუჩაზე მომხდარი სტიქიური უბედურების დროს მოსახლეობის ქონება დაზღვეული რომ ყოფილიყო, ზარალს კერძო სადაზღვევო კომპანიები გადაიხდიდნენ და არა სახელმწიფო ბიუჯეტი და ბიზნესი, რომელთაც დახმარება თავად ხელისუფლებამ სთხოვა.

დღესაც, როდესაც „ბავშვთა სამყაროს“ შენობა დაიწვა და მოვაჭრეებმა მილიონობით ზარალი ნახეს, ქონების სავალდებულო დაზღვევაზე ხელისუფლებაში ისევ ალაპარაკდნენ. ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ბაზრობებისა და სავაჭრო ცენტრების სავალდებულო დაზღვევის ინიციატივით გამოვიდა და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით მოთხოვნების გამკაცრება აუცილებელია. **„ხელშეკრულების დადებისას, დაზღვევა ერთ-ერთი კატეგორიული მოთხოვნა უნდა იყოს“**, — განაცხადა კალაძემ.

დეპუტატმა, უმრავლესობის წევრმა ლევან კობერიძემ კი არ გამორიცხა, რომ პარლამენტმა დღის წესრიგში სავაჭრო ცენტრებისა და ბაზრობების სავალდებულო დაზღვევის საკითხი დააყენოს. მისი თქმით, ამ წუთში ეს დღის წესრიგში არ დგას, თუმცა, მხარეებთან გასაუბრების შედეგად, შესაძლებლია, რომ ამაზე მსჯელობა დაიწყოს. დეპუტატის განმარტებით, „ბავშვთა სამყაროში“ მომხდარმა ფაქტმა აჩვენა, რომ დაზღვევის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, როდესაც საუბარია მსგავსი ტიპის ადგილებზე, სადაც ადამიანების დიდი რაოდენობა იყრის თავს.

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველამ კარგად გაითავისოს — ფართის გამქირავებელმაც და დამქირავებელმაც, რომ ასეთი ტიპის დაზღვევა, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არავინაა დაზღვეული მსგავსი ტიპის შემთხვევებისგან. როცა ბიზნესმოლაპარაკება ხდება ფართის გაქირავების დროს, ორივე მხარემ ძალიან მწვავედ უნდა დააყენოს ეს საკითხები**“,— განაცხადა ლევან კობერიძემ.

როგორც ჩანს, ხელისუფლებაში სავალდებულო დაზღვევის საკითხი ისევ გაახსენდათ, თუმცა მხოლოდ პოსტფაქტუმ. შეასრულებს თუ არა ამჯერად მაინც ხელისუფლება მათივე გუნდის წევრების მიერ გაჟღერებულ ინიციატივას, სავარაუდოდ, მალე გამოჩნდება. მანამდე კი დაზღვევის სფეროს სპეციალისტები მთავრობას დაფიქრებისკენ მოუწოდებენ და აცხადებენ, რომ საქართველოში დაზღვევა, როგორც ვალდებულება, აუცილებლად უნდა ამოქმედდეს, სხვა შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში დაზღვევის კულტურა საკმაოდ დაბალია, ნებაყოფლობით დაზღვევას მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი აირჩევს.

* * *

**„საქართველოს სადაზღვევო ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გიორგი გიგოლაშვილი** „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოში ქონების დაზღვევა აუცილებლად სავალდებულო უნდა გახდეს. მისივე განცხადებით, მეწარმე ვალდებული უნდა იყოს, რომ სარეალიზაციოდ გამოტანილი პროდუქცია დააზღვიოს. **„საქართველოში ქონების დაზღვევა ძვირი არაა, რომ მისი გადახდა ამ ქონების მფლობელმა ვერ შეძლოს. მაგალითად, თუ მეწარმეს საწყობში აქვს 100 000 ლარის ქონება, მას წლიურად მოუწევს 250 ლარის გადახდა. სადაზღვევო კომპანიებში ქონების დაზღვევის პოლისის წლიური ღირებულება დაზღვეული ქონების მაქსიმუმ 0,25%-ია. დღეს ის ადამიანები, რომლებიც „ბავშვთა სამყაროში“ პროდუქცია დაეწვათ, დაზღვევა რომ ჰქონოდათ, შემთხვევის ადგილას კი არ იქნებოდნენ მთელი დღის განმავლობაში, არამედ შეტყობინებებს სადაზღვევო კომპანიებს დაუგზავნიდნენ“**, — განაცხადა გიგოლაშვილმა.

მისივე განცხადებით, ევროპის და, ზოგადად, დასავლეთის თითქმის ქვეყანაში ქონების დაზღვევას სავალდებულო სახე აქვს, ან კიდევ სავალდებულო არ არის, მაგრამ ყველა აზღვევს, რადგან იქ ეს კულტურა საკმაოდ მაღალია. **„ავსტრალიაში, ამერიკასა და იაპონიაში კი, თუ კომპანიას დაზღვევა არა აქვს, ეს მის იმიჯზე სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს. ჩვენთან სადაზღვევო კულტურა დაბალია და ამიტომ სავალდებულო დაზღვევა აუცილებლად უნდა ამოქმედდეს. ეს ბიზნესისთვის დიდი ბეგარა არ იქნება. თუკი ამოქმედდება სავალდებულო წესი, მაშინ სადაზღვევო პრემია მეწარმეს ხარჯში უნდა ჩაეთვალოს და ის მოგების გადასახადისგან უნდა გათავისუფლდეს**“, — განუცხადა „კომერსანტს“ გიგოლაშვილმა.

**საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარის დევი ხეჩინაშვილის** განცხადებით, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ, რომელიც დღეს წარმატებულია, სხვადასხვა დროს გაიარეს ის ეტაპები, რასაც დაზღვევის კულტურის ამაღლება და სავალდებულო დაზღვევა ჰქვია. „საქართველოშიც ამაზე უნდა ვიფიქროთ და თანაც, აუცილებლად. კარგია, რომ **„ბავშვთა სამყაროს“ შენობა დაზღვეული იყო, მაგრამ ცუდია, რომ ხალხს არ ჰქონდა დაზღვევა და ახლა ისინი სრულიად გაურკვეველ ვითარებაში არიან. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც დიდი რისკი აქვს სტიქიური უბედურებების, მათ შორის, მიწისძვრის და ამიტომ დაზღვევის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს დღის წესრიგში“,** — განაცხადა დევი ხეჩინაშვილმა.

მისივე განცხადებით, საქართველოში დაზღვევის დაბალი კულტურის გამო, აუცილებელია სავალდებულო წესი ამოქმედდეს. **„შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მოქმედებდა ხანძრის შემთხვევების სავალდებულო დაზღვევა და ეს ძალიან კარგად მუშაობდა. თუმცა მერე გაუქმდა და დღემდე ვერც წინა და ვერც ახალმა ხელისუფლებამ საკითხი ისე ვერ დაარეგულირა, რომ დაზღვევა ქვეყანაში სავალდებულო ყოფილიყო. ეს ძალიან ცუდია. აუცილებელია, რომ სასწრაფოდ იყოს მიღებული ზომები და ამოქმედდეს ქვეყანაში დაზღვევის სავალდებულო“,** - განაცხადა ხეჩინაშვილმა.

**დაზღვევის სფეროს სპეციალისტი ლაშა ნიკოლაძე** კი თვლის, რომ აუცილებელია ბიზნესოპერატორებმა საკუთარი პასუხისმგებლობა დააზღვიონ, რაც სხვისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს. **„სავალდებულო უნდა იყოს დაზღვევა სავაჭრო ობიექტების მფლობელებისთვის, ტაქსის კომპანიებისთვის და ა.შ. ამისათვის კი ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს კანონი და ამოქმედდეს პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“,** — განუცხადა „კომერსანტს“ ნიკოლაძემ.

რაც შეეხება წესს, ნიკოლაძის განცხადებით, აქ შეიძლება 2 ვარიანტის განხილვა მოხდეს. პირველი — სავაჭრო ობიექტის მფლობელმა დაზღვევის პრემიის სეგმენტი ქირაში შეიყვანოს და მეორე — აიძულოს მოქირავნე, რომ თავად იყიდოს სადაზღვევო პოლისი. **„ეს მსჯელობის თემაა, თუმცა ვიმეორებ, აუცილებელია, რომ ქვეყანაში ბიზნესოპერატორის პასუხისმგებლოს დაზღვევა სავალდებულო გახდეს. სხვა მხრივ, პრობლემა ვერ მოგვარდება“,** - დასძინა „კომერსანტთან“ საუბრისას ნიკოლაძემ.

რაც შეეხება ქონების დაზღვევასთან დაკავშირებით არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, 2016 წლის მესამე კვარტალში (დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს მთელი წლის მონაცემი ჯერ არ გამოუქვეყნებია) საქართველოში ქონების დაზღვევაზე მთლიანად გაცემულია 161 410 სადაზღვევო პოლისი. 2016 წლის დასაწყისიდან გაიცა 146 481 პოლისი, საიდანაც კორპორატიულია 36 356, საცალო (ინდივიდუალური) — 110 063, სახელმწიფო კი — 62. სპეციალისტების განცხადებით, ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ამიტომაც, აუცილებელია, რომ ქვეყანაში დაზღვევის სავალდებულო ფორმა ამოქმედდეს.

**„კომერსანტი“**

## ქრთამმა კიდევ ერთხელ გაანათა ჯოჯოხეთი!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ - სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანამშრომელი და ნაძალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი დააკავა.**

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, ერთ-ერთი გამარჯვებული კომპანიისთვის სამუშაოების განხორციელების პროცესში გარკვეული უპირატესობის მინიჭებისა და სამსახურებრივი მფარველობის გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით აიღეს დიდი ოდენობით თანხა.

დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე.

## უბედური შემთხვევა ხელვაჩაურში

**სახლის ჩამონგრევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა. შსს-მ მომხდარზე გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. მეზობლების ინფორმაციით, ცხედარი სახლიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა ამოიყვანეს.**




## 28 წლის ახალგაზრდა გაყინული იპოვეს

**ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალებას ჩოხატაურის სოფელ შუა სურების მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლებასა და 112-ის უყურადღებობას აბრალებს.**

ადგილობრივები აცხადებენ, რომ რამდენიმე დღის წინათ დაკარგული ახალგაზრდას ძებნის პროცესში შესაბამისი სამსახურები დროულად არ ჩაერთვნენ.

მოსახლეობა აცხადებს, რომ თოვლში დაკარგული ა.შათირიშვილის ძებნა საკუთარი ძალებით დაიწყეს.

**„ორი დღე ჩვენი ძალებით ვკვალავდით საცალფეხო გზას მთაში, იქ ასვლა მოვახერხეთ სამშაბათს, რადგან დიდი თოვლი იყო. იქ რომ მივედით, ბიჭი უკვე გაყინული იყო. ზუსტად წინა ღამით არის გარდაცვლილი, საშინელი ყინვა იყო, თან ნაფეხურებზეც ეტყობა, რომ ის ორშაბათს საღამომდე ცოცხალი იყო. სამაშველო რომ დაგვხმარებოდა, ეს ტრაგედია არ მოხდებოდა. მთელი სოფელი გაგიჟებულია, უყურადღებობით როგორ დაღუპეს ახალგაზრდა კაცი“** — აცხადებენ გარდაცვლილის თანასოფლელები.

112-ში აცხადებენ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უწყებაში შეტყობინება არ შესულა და გამომდინარე აქედან, სამძებრო სამუშაოებში მაშველების ჩართვა ვერ მოხდებოდა. თუმცა გამგებელი ამბობს, რომ დაკარგულს ორი დღე ეძებდნენ. გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

## სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan №: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი სამუშაოებისთვის:

ლოტი-1 №: AMMAR/CW/2017/02 - **გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუმლაყში მდ. ჩუმლაყისხევზე ნაპირგამაგრი სამუშაოები (ნაპირდამცავი რკ/ბეტონის კედლის სამი მონაკვეთის მოწყობა ჯამში 162 მეტრი)**

ლოტი-2 №: AMMAR/CW/2017/3 – **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფ. გიორგეთში, მდ. კაბალის ჭალა-კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოები (ნაპირდამცავი გაბიონის კედლის მოწყობა 378 მეტრი)**

1. სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. **ლოტი-1-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა 4 თვე. ლოტი-2-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა 4 თვე.** კონკურსანტებს შეუძლიათ წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ერთ ან ორივე ლოტზე.

2. კონტრაქტის/კონტრაქტების მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**ლოტი-1 №:** AMMAR/CW/2017/2 გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუმლაყში მდ. ჩუმლაყისხევზე ნაპირგამაგრი სამუშაოები:

– ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – 1,000,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

– ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ 260,000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%-ით უნდა იყოს დასრულებული), **რომლის ფარგლებში ჩატარდა არანაკლებ 800 მ$^3$ რკ/ბეტონის სამუშაოები.**

კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან თავისუფალი საკრედიტო რესურსის (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – 125,000 ლარი.

ლოტი-2 №: AMMAR/CW/2017/3 - **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფ. გიორგეთში, მდ. კაბალის ჭალა-კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოები:**

– ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – 1,300,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

– ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ 350,000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%-ით უნდა იყოს დასრულებული), **რომლის ფარგლებში ჩატარდა არანაკლებ 2,500 მ$^3$ გაბიონის მოწყობის სამუშაოები.**

კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან თავისუფალი საკრედიტო რესურსის (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – 165,000 ლარი.

**ორივე ლოტის შემთხვევაში კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

– ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – 2,300,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით

– ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში: (ა) მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ 610,000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%-ით უნდა იყოს დასრულებული), **რომლის ფარგლებში ჩატარდა არანაკლებ 800 მ$^3$ რკ/ბეტონის და არანაკლებ 2,500 მ$^3$ გაბიონის მოწყობის სამუშაოები;** ან (ბ) მინიმუმ 2 (ორი) კონტრაქტი, ჯამურად 610,000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70 %-ით უნდა იყოს შესრულებული), **რომლის ფარგლებში ჩატარდა არანაკლებ 800 მ$^3$ რკ/ბეტონის და არანაკლებ 2,500 მ$^3$ გაბიონის მოწყობის სამუშაოები;**

– კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან თავისუფალი საკრედიტო რესურსის (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – 290,000 ლარი.

